

ლამა ბუღაძე

სუბჰარი და მეფისტოფელი

ბიესა ორ მოქმედებად

მოქმედი ბირნი:

ნუგზარი
მეფისტოფელი
ქეთუშა
გელა
ბავშვის ხმა ზეციური საქართველოდან

უტიქსტო პერსონაჟები:
მაიკო /იგივე მანანა/
ორი ფრანგი ქალბატონი მეთვრამეტე საუკუნიდან

„Faust:“
Sol ich dir, Flammenbildung, weichen?
Ich bir's, bin Faust, bin deinesgleichen!“
Goethe, „Faust“

***„ფაუსტი:“**
ეს მე ვკანკალებ, სულო, შენგნით მოგვრილი ძრწოლვით?
მე ვარ ფაუსტი, ვარ ფაუსტი და შენი სწორი!“
კოეთე „ფაუსტი“

პირველი მოქმედება

სურათი პირველი

პატარა, მოუვლელი ოთახი, დაბზარული კედლებითა და სიძველისაგან სრულიად შეღახული ავეჯით: მაგიდა, სკამები, სავარძელი, ტახტი, ტელეფონი, ტელევიზორი, ამ ოთახისათვის აბსოლუტურად შეუფერელი ჭალი და სხვ. მაგიდაზე სუფრის მაგივრად გაქონილი გაზეთებია დაფენილი. მარჯვენა კუთხეში ფანჯარაა გამოჭრილი, საიდანაც ქალაქის ხმაური, ბოლი და ცუდი სუნი შემოდის. მარცხენა კუთხეში დერეფანში გასასვლელი კარია. საპირფარეშო და სამზარეულო მაყურებელმა თავად უნდა წარმოიდგინოს. ერთი სიტყვით, გოთიკურობისა ამ ოთახს არაფერი ეტყობა. ნუგზარი ტელევიზორს უყურებს...

ნუგზარი . ერთი ამის დედაც მოგტყან!

ნუგზარი წამოდგება და ტელევიზორს გამორთავს. ერთხანს უაზროდ იწრიალებს ოთახში. გაღიზიანებული და გაუპარსავია. მერე ოთახიდან გავა და კარგა ხანს არ დაბრუნდება უკან. პაუზა უხერხულობამდე უნდა გაიწელოს. სამზარეულოდან ონკანის მინორული ღმუილი გამოაღწევს - ეტყობა, წყალი შეწყდა. ისმის ჭურჭელის მსხვრევის ხმაც. კვლავ უხერხული პაუზა. ნუგზარი ოთახში ტყავის ქამრით ხელში დაბრუნდება და სავარძელში ჩაჯდება. ქამარს მაჯაზე დაიხვევს. მერე ჯიბიდან სიგარეტს ამოიღებს და ნერვიულად გააბოლებს.

ნუგზარი: ეხლა რო ვთქვა ფილოსოფიის შესწავლაზე საკმარისად ვიმტვრიე-მეთქი თავი, ვინ დამიჭერებს? მედიცინა და სამართალიც, დიდი ბოლოში, მაგრამ ავერ, აქ მენახათ... სხვათა შორის, გეოლოგიაც! ყოველთვის სირი ვიყავი და ბოლომდე სირადვე დავგრჩები.

ჯერ სკოლა - დასაწყისში ხუთები, რამე... მერე სამები, ორები... და მერე სულ ორები. ჩათლახი მასწავლებლები. ბებრები. ბებერი დამრიგებელი, ბებერი სასწავლო ნაწილი და ბებერი დირექტორი... ტექნიკური უნივერსიტეტი - სოფლელი ბიჭები, მახინჯი გოგოები და სამხედრო - ყოველ სამშაბათს... ვითომ ქეთუშა - ოღონდ, მართლა ვითომ...

ერთი-ორჯერ დავურეკე და სადღაც დავპატიჟე - კინოში, მგონი... ორმოც დაქალთან ერთად მოვიდა. მივაფურთხე!

მერე მამაჩემი მოკვდა. ტელევიზორს უყურებდა და მოკვდა. ყველას უყვარდა. გავიდა ერთი წელიწადი და დედაჩემიც მოკვდა. ისიც ტელევიზორთან. საერთოდ, ჩვენ სახლში ყველა ტელევიზორის ყურებისას კვდებოდა. მამიდაჩემიც. ბიცოლაჩემიც.

თმა მცვივა. თან მაგრა! განსაკუთრებით, ბანაობის დროს... ამიტომ, აღარ ვბანაობ... მეყო ნერვებისშლა! ცოლი არ მოვიყვანე. ქალები მეზიზღებიან! საერთოდ, ყველა მეზიზღება. უკლებლივ! პროფესიით არქიტექტორი ვარ, მაგრამ ფანჯარას ვერ ვიჭერ - ხელი მიკანკალებს. დიბლომი მქონდა, მაგრამ დავწვი. კი შემენანა, მაგრამ რა მექნა! რო დავლევი, მერე გიჟობებს ვაკეთებ ხოლმე... არქიტექტორთა კავშირის წევრიც ვარ. მაგრამ სუ მკიდეა არქიტექტურა. მამიდაჩემის ერთოთახიანს ვაქირავებ და თვეში ას დოლარს ვიღებ.

„ნუგზარი“ ბაბუაჩემს ერქვა. გელა „ნუგზარას“ მემჩხის. გელა ჩემი მეზობელია. სირია, მაგრამ ჭიგარი. ორმოც წლამდე ისე მოვალწიე რო...

ორმოცი წელი ისე ვიცხოვრე რო... /წინადადებას ვერ ასრულებს/ მკიდა. (ნუგზარი წამოდგება და სავარძელზე ფეხით შედგება. ქამარს ჭაღზე დაახვევს და მისგან პაწაწინა, სიმპათიურ სახარობელას შექმნის.)

ეხლა თავს მოვიკლავ.

ნუგზარი თავს ყულფში გაყოფს.

მეზიზღება თბილისი!

უეცრად ოთახში ნუგზარის მეზობელი /და, შეიძლება ითქვას, მეგობარი/ გელა შემოვა.

გელა. /შემოსვლისთანავე/ ვა!

ნუგზარი . რა - ვა?

გელა. თავს იკლავ, შეჩემა?

ნუგზარი . მეე?

გელა. აბა, მე?..

ნუგზარი . არა... /ჭაღზე მიუთითებს/ ამას ვხსნი...

უნდა გავყიდო.

გელა. კარი ღია გქონდა...

ნუგზარი . რა მაქ დასამალი, გელა...?

გელა. ჩამო, რა.

ნუგზარი . მოიცა ერთი წამით. /ჩამოდის/

გელა. ქამარი რაში დაგჭირდა?

ნუგზარი . დაკითხვაზე ვართ, გელა...?

გელა. რა იყო, ნერვები გაქ აწეწილი, ჩემი ბიჭი?! წამო.

გარეთ გავიდეთ, ჰაერი ჩაველაპოთ - გვეკუთვნის.

ნუგზარი . ცუდი ამინდია. მეზარება.

გელა. ორი მიზეზი არ შეიძლება. თანაც, შენ თუ მზიან ამინდს ცუდ ამინდს ეძახი, ჯობია მართლა სახლში დარჩე. მზე ანათებს, ცხელა და უბანიც სიცოცხლით სუნთქავს. გოგოები მოკლებში მიდი-მოდიან და თუკი გარკვეულ მოხერხებულობას გამოიჩენ, შესაძლოა, რამე-რუმეებსაც მოკრა თვალი.

ნუგზარი . არ მაინტერესებს. არანაირად არ მაინტერესებს. საერთოდ, არაფერი აღარ მაინტერესებს, გელა... მორჩა და გათავდა.

გელა. ცხვირი ნუ ჩამოუშვი, ბიჭო! სახლი გაქვს, საჭმელი გაქვს, ფულიც გაქვს... იმათმა რაღა თქვან, ვისაც არც ერთი აქვს, არც მეორე და არც... /დააცემინებს/ მესამე...

ნუგზარი ცოცხლე.

გელა. ზურგზე ხელი დამარტყი.

ნუგზარი . მიცვალებული რო არ გვიხსენებია?

გელა. ვახსენებთ.

ს უ რ ა თ ი მ ე ო რ ე

ეზო რვასართულიანი სახლის წინ. ნუგზარი, გელა.

გელა. ო, ბაგებო! სულო და გულო ჩემო! აქ გავიზარდე და, ალბათ, აქ მოგვადები. ვაკის ბოლოს ამომხდება სული. საცურაო აუზს რო გაცდები და მერე ვაკის სასაფლაოსაც - რომელიც, სხვათა შორის, ოფიციალურად ოცდაათი წლის წინ დაიხურა - რამდენიმე უშნო შენობას დაინახავ. ერთ-ერთში ცხოვრობს გელა - კომერციული სასაფლაო „მწვანე

კონცხის“ დირექტორი. გელას მეზობელია ვინმე ნუგზარი, რომელიც ცხვირჩამოშვებული დგას ჩემს გვერდით. ნუგზარ, ჩემი ძმა, რაც ჩემი კომერციული სასაფლაო გაეხსენი, იმის მერე სუ მკვდრებზე ვფიქრობ და მკვდრებს ვხედავ, მაგრამ მაინც ყველას ჯინაზე კარგ ხასიათზე ვარ. შენ რა ჯანდაბა გეტაკა ასეთი, რო აღარ ილიმები, აღარც ნარდს თამაშობ და აღარც ფეხბურთს უყურებ ბიჭებთან ერთად? რა იყო, მენსტრუაცია ხო არა გაქ? /თავისივე ნათქვამზე გაეცინება/ გაილიმე მაინც, შეჩემა, შენთვის ვწვალობ...

ნუგზარი . ნუ გამიტრაკე რა, გელუშ... /ნუგზარი ჯიბიდან სიგარეტის კოლოფს ამოიღებს, მაგრამ მოწევის გადაიფიქრებს და კოლოფს უკან, ჯიბეში ჩაიღებს/

გელა. ყველაზე მეტი ხალხი მარტში კვდება. გამოვითვალე. გულის გამო. გული იმასაშვრება, ერთი სიტყვით... ცოტა ივლისი-აგვისტოში გვიჭირს - სეზონი არ არი. არ კვდებიან ეს შობელძაღვლები! მეც მაგრა მერხევა ხოლმე... ფინანსურად, რასაკვირველია, - ცოლ-შვილს ვერ ვასვენებ, სიდედრიც თავზე დამჩხავის... და, სხვათა შორის, სიმამრიც. მე ეგეთი კაცი არ მინახავს, რა! ქალაჩუნა ნაღდი. ჭურჭელს რეცხავს, სახლს ალაგებს, საჭმელს აკეთებს და ისტერიკებსაც მიწყობს... მამაჩემის ხნისაა, თორე მიუიმასვიზამდი დედის იმეებს...

პაუზა

ნუგზარ. ჩემი ძმა.

პაუზა

10

თავის მოკვლა გინდოდა, ბიჭო?

პაუზა

თავს იკლავდი, ამხელა კაცი?

ნუგზარი . ადამიანი ცხოველისაგან იმით განსხვავდება, რომ თავის მოკვლა შეუძლია, გელუშ. თუმცა, ხანდახან ვეშაპებიც იკლავენ ხოლმე თავს. ტელევიზორში ვნახე მაგათზე მაგარი გადაცემა...

გელა. თეგზებს და, საერთოდ, ცხოველებს, თურმე, სექსუალური აქტიც არ სიამოვნებთ...

ნუგზარიდეღფინების გარდა. დეღფინებს მოწონთ.

გელა. მგონი, ძაღვებსაც... შეხედე ამას! ცუგა... მოდი აქ, მოდი! მპუ-მპუ... არ მიკბინოს ამ ვირიშვილმა!.. არა, ეს რას მიკბენს, თამაში ნდომებია... ნახე, როგორ წამიწვა!.. ჯეკა, ჯიმი, ჯესი, რექსი, მიკი, ჯოლი - სუ ძაღლის სახელებია, ოღონდ, უცხოური წარმოშობის... ქართულია: ბომბორა, ყურშა, ტანჯულა... ამოირჩიე და რამე დაარქვი. შენ გყავდეს! ცოლის მაგივრობას გაგიწევს. ეგება ბავშვიც გაგიჩინოს... /თავისივე ნათქვამზე გაეცინება/ გაილიმე მაინც, შეჩემა, შენთვის ვწვალობ!.. ნახე, ნახე, როგორ გეთამაშება... მოეფერე, ბიჭო!.. რა ხარ ასეთი გულქვა?

ნუგზარი . ძაღლი მინდა ეხლა მე? ჩემთვის არა მაქვს საჭმელი...

გელა. ეს მოგიტანს... რა უნდა ამის გაწვრთნას!

ნუგზარი . კაი რა, გელუშ, ამის თავი მაქვს? ცხოველების მეტი სახლში რა მყავს - ვირთხები, თაგვები... ხოჭოები, ტარაკნები...

11

გილა. ტარაკანა დაფასე - ფული იცის.

ნუგზარი. გელუშ, წავალ რა...

გილა. /ძალს ეფერება/ არ მესმის, რატომ ელაბა-რაკებიან ძალებს რუსულად! თუკი ქართული არ მესმის, ესე იგი, საერთოდ, არცერთი ენა არ მესმის... რუსული რა, გამონაკლისია?... თუ ძალების ენაა?... ნეტა, ბიჭია თუ გოგო?... ნუგზარ, წახვედი, ტო?

ნუგზარი. წავედი...

გილა. სულ ნუ წახვალ... სახლში ადი.

ნუგზარი დარდიანად, ან - კიდევ უკეთესი - სევდიანად ჩაიციინებს და სადარბაზოში შევა.

გილა. (ძალს ეთამაშება.) აბა, დამიყვებ! ერთი ვნახო, როგორი ხმა გაქვს.

ს უ რ ა თ ი მ ე ს ა მ ე

კვლავ ნუგზარის სახლი. უფრო სწორად, ოთახი. ნუგზარი ოთახში შემოდის. უყურებს ჭალს. მერე სავარძელში ჯდება. ჩართავს ტელევიზორს. თუმცა, მალევე გამორთავს. წამოდგება. გავა დერეფანში. იქიდან სათაგურით ხელში დაბრუნდება. მაცივრიდან ყველს /ან ყველის ნაჭერს/ გამოიღებს და სათაგურზე დაამაგრებს. მერე ისევ დერეფანში გავა.

რა თქმა უნდა, მალევე დაბრუნდება და სავარძელში ჩაეშვება. სიგარეტსაც გააბოლებს.

ნუგზარი. თავს ხვალ არა და ზეგ მოვიკლავ. მკიდა.

შეცრად დერეფნიდან ბოლი გამოვა, მოწითალო ვერის. ნუგზარი ფეხზე წამოხტება.

ხანძარია? მიშველეთ-ის ამბავია, ტო?

მოულოდნელად კედელი ორად გაიყოფა და ნაკრალში, არც მეტი, არც ნაკლები, მეფისტოფელის სილუეტი გამოჩნდება. მისი ჩაცმულობა - სტერეოტიპულია. ასევე გარეგნობაც /ვგულისხმობთ, პატარა უღვაშებსა და თხის წვერს/.

მეფისტოფელი. არ შეგეშინდეს, ნუგზარ!

ნუგზარი. /კანკალებს/ სოსო, შენა ხარ?

მეფისტოფელი. სოსო ვინ არის?

ნუგზარი. არ ვიცი, ისე ვთქვი... ვინ ხარ?

მეფისტოფელი. მე ვარ ნაწილი იმ ძალისა, რომელიც ბოროტს ესწრაფვის მუდამ და სიკეთეს კი იქმს ყოველთვის.

ნუგზარი. რა ჯანდაბა გინდა?

მეფისტოფელი. შენი კარგად ყოფნა მხოლოდ.

ნუგზარი. როდის ჩამეძინა?

მეფისტოფელი. რას გულისხმობ?

ნუგზარი. მძინავს თუ მღვიძავს?

მეფისტოფელი. გღვიძავს. სრულ ჭკუაზე ხარ და თვალბში უყურებ ქვესკნელის მეუფეს. იგივე - ეშმას. დაცემულ, დაკოჭლებულ ანგელოზს. მეფისტოფელს! ჯოჯოხეთის სრულუფლებიან ელჩს დედა-მიწაზე.

ნუგზარი. მღვდელი არ გამომაძახებინო, ჩემი ძმა! როგორც მოხვედი, ისე წადი, სანამ მთელი ხარ... გაიგე?

მეფისტოფელი. შენიშვნა პირველი: მღვდლებს არ იძახებენ!

ნუგზარი. /სკამს მოიმარჯვებს/ ნერვებს ნუ მომიშლი, ოქრო!

მეფისტოფელი . მოიცა, ნუგზარ, მოიცა! რატომ მერხუბები? დამშვიდდი და მე თვითონ წავალ. რამდენიმე წუთს წაგართმევ მხოლოდ. გამოგიტყდები, თავიდან, ტრადიციისამებრ, უცნებელი პუდელის სხეულში ვაპირებდი ჩასახლებას და ასეც მოვიქცევი, მაგრამ იმ შენმა დეგენერატმა მეზობელმა ლამისაა სული ამომხადა, იმდენი მეფერა... მე კი, როგორც მოგეხსენება, ალერსს - როგორც ასეთს - ვერ ვიტან!

ნუგზარი . ჯიგარია გელა...

მეფისტოფელი . აშკარად!.. ხოდა, მეც ავდექი და ვირთავად გადავიქეცი. ერთი სიტყვით, იმის თქმა მინდოდა, რომ ყველის ნაჭერი, რომელიც შენ სათაგურზე დაამაგრე, ჩემი შექმნილია და ამის გამო პატიებას გთხოვ...

ნუგზარი . გაბატიე. ნახვამდის.

მეფისტოფელი . მოიცა, ნუგზარ, ჯერ არ დამიმთავრებია. საქმე შენ არა გაქვს და არაფერი. მაჩუქე ერთი-ორი-თხუთმეტი-ოცდაშვიდი-ორმოცი წუთი!

ნუგზარი . რამდენი?

მეფისტოფელი . ორმოცი წუთი ბევრია, თუ ცოტა? რა თქმა უნდა, ბევრი. თან ისეთი ადამიანისათვის, რომელიც სულ რაღაც ორჯერ ორმოცი წუთის წინ თავის მოკვლას აპირებდა.

ნუგზარი . მითვალთვალე ბი კიდევ, შე ბოზო?

მეფისტოფელი . ნუგზარ, ნუ მერხუბები-მეთქი. ნერვები, იცოდე, მეცა მაქვს! ამ ოქრომკედით მოქარგული ძვირფასი ხალათისა და ატლასის მანტიის ქვეშ გული კი არ მიცემს - ჯოჯოხეთური ცეცხლი მიგიზღოვებს. ხოლო რჩებს ამ მამლის ფრთის ქვეშ ვმალავ.

ნუგზარი . მერე თუ გგონია, რო კარგად გაცვია, მაგრა ცდები. დიდი გოიმი ვინმე ხარ! ვერსაჩეს ნაღდ მკვლელს როცა იპოვნინ, მერე მოდი - ეხლა

გააჭვი...

მეფისტოფელი . შენ ხომ თავის მოკვლას აპირებდი, ნუგზარ? ესე იგი, სიცოცხლეზე ხელი გაქვს ჩაქნეული. თუკი დამიჯერებ, კვლავ ოპტიმისტად გაქცევ.

ნუგზარი . რა ბებიაჩემივით ლაპარაკობ! წესიერი ლაპარაკი არ შეგიძლია?

მეფისტოფელი . ერთ მშვენიერ გარიგებას შემოგთავაზებ, ნუგზარ! მომყიდე სული და შენს ყველა სურვილსა და, როგორც იტყვიან, კაპრიზს ადვასრულებ. ოღონდ, სიკვდილის მერე ჩემი უნდა იყო.

ნუგზარი . რა პონტიში?

მეფისტოფელი . შენი სული მე უნდა მემსახუროს.

ნუგზარი . ბებიაშენისამ!

მეფისტოფელი . წარმოიდგინე, სურვილი არ დარჩება, რომელსაც მე არ შეგისრულებ... მომყიდე, ნუგზარ, სული! დედას გაფიცებ! დედაშენის სულს გაფიცებ, ნუგზარ! ხაზს გავუსვამ - დედაშენის უკვდავ სულს გაფიცებ...

ნუგზარი . სამი წელია დეეჩემის საფლავზე არ ვყოფილვარ...

მეფისტოფელი . მიბრძანე და ხელადვე იქ გაგაჩენ...

ნუგზარი . ტაქსითაც ავალ... არ მჭირდება ზედმეტი თავისმოქაჩლება!

მეფისტოფელი . შენს ყველა შეკითხვას გაეცემა, ნუგზარ, პასუხი, - არსებოს თუ არა ღმერთი? ვინ ვარ? საიდან მოვედი და საით მივდივარ? ცხოვრება გარდაცვალების მერე! ცნობილ ადამიანთა ინკარნაციები! შენ ოღონდ შეკითხვა დასვი და პასუხის გაცემა ჩემზე იყოს.

ნუგზარი . სუ მკიდა ეგ ყველაფერი. საერთოდ არ

მინტერესებს. აგერ აქ მახატია - ვინ ვარ და რა ვარ...
მეფისტოფელი . ღმერთო!.. დიახ, მე სწორედ
ღმერთს მივმართავ ამწუთას... ღმერთო, როგორ არ
ვაფასებდი საწყალ, ბებერ დოქტორ ფაუსტს! ეს რა
საშინელი თაობა მოვიდა!

ნუგზარი . რაცა ვარ, ეგა ვარ, ჯიგარ... ნახვამდის.
მეფისტოფელი . თავს რალატომ იკლავდი, ნუგ-
ზარ?

ნუგზარი . იმიტო რო ცხოვრება მომბეზრდა... იმი-
ტო რო უკმაყოფილო ვარ ჩემი ცხოვრებით... მეზინ-
ღება ეს ქალაქი, ეს მახინჯი ხალხი და ეს ქალებიც -
ბოზები ეგენი, მართლა და მართლა...

მეფისტოფელი . მე დაგაკმაყოფილებ, ნუგზარ!
ნუგზარი . მომეკარები და - ბოზის გაზრდილი
გიყო - მოგკლავ!

მეფისტოფელი . არა, ნუგზარ, შენ ვერ გამიგე...
მე შენს სურვილებს დავაკმაყოფილებ! აი, ამის თქმა
მინდოდა. ისურვებ სიმდიდრეს? გექნება. ისურვებ
ქალებს? - თან მსოფლიოს ულამაზეს და უშესანიშნა-
ვებს ქალებს? - შენს ფერხთით იწვეებიან...

ნუგზარი . არ მინდა... მერე მოვლა ხო უნდა მა-
გათ.

მეფისტოფელი . იმხელა სიმდიდრის პატრონი იქ-
ნები, არ გაგიჭირდება...

ნუგზარი . რო მინდოდეს, ფულს უშენოდაც ვიშო-
ვი...

მეფისტოფელი . ვერ იშოვი!
ნუგზარი . ვიშოვი!

მეფისტოფელი . ვერ იშოვი!
ნუგზარი . ვითომ რატომ?

მეფისტოფელი . არ გეწყინოს, მაგრამ იმიტომ
რომ... ქართველი ხარ.

ნუგზარი . /დუმბილის შემდეგ/ მკილია.
მეფისტოფელი . მსოფლიოს ბატონ-პატრონად
გაქცევ!

ნუგზარი . მოიცა, რა...
მეფისტოფელი . დროში გამოგზაურებ... ალექსან-
დრე მაკედონელს გაგაცნობ!

ნუგზარი . ეგ ვინაა?
მეფისტოფელი . მაკედონიის მეფე! უდიდესი მთა-
ვარასარდალი.

ნუგზარი . არ მინდა... იუგოსლავიას თავისი
პრობლემებიც ეყოფა.

მეფისტოფელი . სიცოცხლის ოთხას წელიწადს გა-
ჩუქებ!

ნუგზარი . მერე ყველა მე ვმარხო?... ბებიაშენი-
სამ! გელა კი არა ვარ.

მეფისტოფელი . აბა, რა ჯანდაბა გინდა, ნუგზარ?
ნუგზარი . /ჩიბიდან სიგარეტის კოლოფს ამოი-
ღებს, პაპიროსს მოუკიდებს და გააბოლებს/ ეშ, ნე-
ტავი ეგ გამაგებინა და...

სცენა ბნელდება

ს უ რ ა თ ი მ ე ო თ ხ ე

იგივე ოთახი. ნუგზარი მარტოა.

ნუგზარი . თუბი ორ ნოთ თუბი. დის იზ ე კვეშიენ.

შემოდის გელა.

გელა . ბიჭო, ქურდების არ გეშინია, ამ კარს რო არ
კეტავ? /უყურებს ორად გაპობილ კედელს / რემონ-

ტი დაიწყო, ნუგზარ? ყოჩაღ. ეს უკვე მომწონს. მუშებს თავზე დაადექი, თორე გაგაწვალებენ.

ნუგზარი . ძალლი რა იქნა?

გელა . რომელი ძალლი? ა, ისა? მე რა ვიცი, ჩემი შვილი კი არ იყო. ძალლია, რა. დღეს აქაა, ხვალ იქაა. კაი დილა გამითენდა. ორი კლიენტი შემოვიდა. გუშინწინ დახოცილან. ბებრები მაგარი. მოგკვდი ჭირისუფლებთან ვაჭრობით! მაგათ გონიათ, რახან კომერციულია - ბევრს ვართმევთ. წავიდნენ და ნახონ, რა ხდება ვაკეში... სხვათა შორის, ვაკის სასაფლაო ოფიციალურად ოცდაათი წლის წინ დაიხურა...

ნუგზარი . გელუშ, ხო ხარ ჩემი ძმა?

გელა . რა იყო? შენთვის უკვე მოგნიშნე ერთი ადგილი. არ ინერვიულო.

ნუგზარი . არა, არა, სხვა რამეს გეუბნები... რაღაც უნდა გკითხო, შენი აზრი მაინტერესებს.

გელა . ყოჩაღ, ნუგზარ, უკვე მომწონხარ.

ნუგზარი . გუშინ მეფისტოფელი გამომეცხადა...

გელა . ბოდიში, ვინა?

ნუგზარი . სატანა, გელუშ, ნაღდი თან...

გელა . ხო, მერე.

ნუგზარი . სული მომყიდეო, რა.

გელა . რამდენათო?

ნუგზარიარა-მეთქი.

გელა . ეგრე უნდა გეთქვა. ჭიგარი ხარ.

ნუგზარი . ტელეფონის ნომერი დამიტოვა. ბინა გიქირავე და რო გადაიფიქრო, იქ დამირეკეო. რა გქნა, გელუშ?

გელა . რა ბონტში „რა ქნა“?

ნუგზარი . დაგურეკო თუ არ დაგურეკო? უფრო სწორად, მივყიდო თუ არ მივყიდო?

გელა . სულზე მეუბნები?

ნუგზარი . ხო.

გელა . თირკმელაზე რო ეთქვა, კიდე შეიძლებოდა ფიქრი, მაგრამ სული ერთი გაქ. ნუგზარ, ჩაიჭვამ უსულლოთ.

ნუგზარი . სანამ ცოცხალი იქნები, ყველაფერს შეგისრულებო.

გელა . ძალლი ხო არ იყო?

ნუგზარი . ბუდელი?

გელა . ბუდელი და ის კიდე... სპილო!

ნუგზარი . ძაღლებს ჩემგან რა უნდა უნდოდეთ! მორფინისტი მე არა ვარ და ქურდი...

გელა . თავის მოკვლა ხოა მკვლელობა. ეტყობა, გაიგეს გუშინდელი ამბავი და ერთი ლამაზი მუშაკიც ამოგიგზავნეს.

ნუგზარი . მერე ხო არავინ მომიკლავს! ცოცხალი დავრჩი.

გელა . რო მომკვდარიყავი, ნაღდად დაგიჭერდნენ, ვიცი შე მაგათი ამბავი.

ნუგზარი . მოკლედ, გელუშ, რას მირჩევ?

გელა . რომელი მამაო მე მნახე! კაი ნაშები თუ ყავს - მოიყვანოს, თუ არა და - მოუსვას ბაყაყური.

ს უ რ ა თ ი მ ე ხ უ თ ე

ნაქირავეები ბინის ერთ-ერთი ოთახი. მეფისტოფელი მარტოა. მოუსვენრადაა. აქეთ-იქით დადის. იატაკზე ფერადყდიანი ყურნალებია მიმობნეული. მიწაზევე დევს ტელეფონი.

მეფისტოფელი . გომიც აღმოვჩნდი! ეშმაკი რომ ვარ ის, თურმე, საკმარისი არ არის. სიგომეც მომავლებს! /ერთ-ერთ ყურნალს ხელში აიღებს და ნაკუწებად აქცევს/ მე კი არ ჩამოვრჩი მოდას - მოდა ჩა-

მომჩიე მე! სილამაზე, მშვენიერება, ესთეტიკა - წარ-
სულს ჩაბარდა... *სხვა უურნალებსაც დაერევა/ ამ*
ძროხებს ახლა ქალებს ეძახიან... სასაცილოა! ღმირ-
თო! - კვლავ შენ მოგმართავ, ძვირფასო - რატომ შე-
იცვალა ასე სამყარო! უკანასკნელმა ხუთმა საუკუ-
ნემ სრულიად გადაასხვაფერა არსება, სახელად -
ადამიანი... წინათ მავანი კეთილშობილი მოხუცი-
ბული თავად გვიხმობდა, ახლა კი პენსიონერებს
ჩვენ თვითონ გუვარდებით სახლში; ვჩრით ათასწირ
ხელშეკრულებას, მაგრამ მოსმენით მაინც არავინ
გვისმენს... მათ აღარც კარგი ცხოვრება აღელვებთ
და აღარც ცუდი! ჭოჭოხეთშიც საშინელი სიტუაცია-
ა. მამათა და შვილთა ბრძოლა იქაც კი გაჩაღდა:
ჩვენ, ბებერ ეშმაკებს, ბოდიში მომითხოვია და,
ახალგაზრდა ეშმაკები ზედაც აღარ გვაფურთხებენ;
ჩვენს მიერ შექმნილს... უფრო სწორად, განადგუ-
რებულს... და ჩვენს მიერ გაკეთებულ... ანუ გაფუ-
შებულ საქმეს - არანაირად არ აფასებენ და
ჭოჭოხეთური დაწესებულებებიდან ოროსანი ბა-
შეებივით გვყრიან... ამ დროს, რამდენი კეთილ-
შობილი სული დამიღუბავს, მაგალითად, პირადად
მე; რამდენი მომიტყუებია, რამდენი ჩამიგდია
ცეცხლოვან გენაში... ეჰ, მაფასებს კი ვინმე!.. კარგი
შეკვეთა თავისთვის მიაქვთ, ჩვენ კი რალაც ნამცუ-
ცებს გვიყრიან... აბა, მეკადრება ეხლა მე ნუგზარის-
ნაირი ყეყერის დევნა! ერთი ყმაწვილი გვყავს,
უცხოეთში ნასწავლი - შარშან გახდა ორასი წლის -
ერთი თვეც არაა, რაც ჭოჭოხეთში მსახურობს და უკ-
ვე ესკობარს მიუჩინეს. ეგრეა!.. საწყალი დოქტორი
ფაუსტი რომ არა, მეც კაი ხნის გამოგდებული ვიქ-
ნებოდი სამსახურიდან... მიუხედავად იმისა, რომ ამ
პატოსანი მოხუცის სული - გვარს არ დავასახელებ

და ჩვენმა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ზეცაში
აიტაცა - მისი დევნა მე მაინც დამიფასდა... ეს ამბავი
მოხდა 1520 წელს! აუფ, ხუთასი წლის წინ, ესე იგი!
იმის მერე ვარ ასე და დავდეგ ნუგზარისნაირ ჭი-
ღუებს. საფრანგეთის რევოლუცია იყო და რობესპი-
ერს მე ვინ მადირსებდა - მომკლეს ვილაც ბოზი ქა-
ლის დევნით. საბჭოთა კავშირი იყო და გენერალურ
მდივანს ახლოს არ მიმაკარეს - ვარატნიკოვი იყო
ასეთი, პოლიტიუროს წევრი - მშვიერ ძაღლს რო
ძვალს გადაუგდებენ სუფრიდან, ისე გადმომიგდეს
ეგ უბედური... ძალიან მოსაბეზრებელია ეშმაკად
მოღვაწეობა. ერთი ასი-ორასი წელიც და გავალ პენ-
სიაზე, შვილიშვილებს მოგუვლი - ბავშვებმა უკვე
რძის ჩლიქებიც კი მოიცვალეს... გაიზარდნენ! სამ-
წუხაროდ, ჩვენთან, ჭოჭოხეთში, სიყვარული - რო-
გორც ასეთი - აკრძალულია, ამიტომ შვილიშვი-
ლებზე კარგს ვერაფერს გეტყვით... ლანძღვა-გინება,
იცოცხლე, შეიძლება!.. ძალიან მეზარებოდა
თბილისში ჩამოსვლა, მაგრამ რა მექნა... დამავალეს,
წლიური გეგმაა შესასრულებელიო - სამოციანე-
ლებს უნდა დავერიოთ... ამჟამად, ამ ტერიტორიაზე
ოცი ეშმაკი ვმუშაობთ... ვის ველაპარაკები ნეტავი
ამდენ ხანს! ჭალუცინაციები ხო არ დამეწყო... საერ-
თოდ, თურმე, ზოგადად ეშმაკეულს...

რეკავს ტელეფონი. მეფისტოფელი სწრაფად მი-
ირბენს ტელეფონთან. ყურმილი თავისით აფრინ-
დება ჰაერში და მეფისტოფელის მარჯვენა ყურს
მიებჯინება.

ნუგზარ, შენა ხარ, ძვირფასო?

ს უ რ ა თ ი მ ე ე ქ ვ ს ე

ნუგზარის ოთახი. ნუგზარი მარტოა.

ნუგზარი. /ზის სკამზე, მუხლებზე ტელეფონი უდევს/ რაც არი არი, რა. მკილია. თან მაგრა. ფეხებზეც მკილია და... ყველაფერზეც.

შემოდის გელა.

გელა. ნუგი, კაჭკუჭ.

ნუგზარი. ეგ იქ უნდა გექნა, კართან.

გელა. სჯობს ეხლა, ვიდრე არცერთხელ... ასე თქვა არა პოეტმა?

ნუგზარი. რა იყო, გელა, რაღაც კარგ ხასიათზე ხარ.

გელა. კიდევ სამი მკვდარი შემოვიდა ოფისში.

ნუგზარი. გილოცავ.

გელა. მე რას მილოცავ, ნანას მიულოცე, ბავშვებს ბაკურიანში აიყვანს.

ნუგზარი. ვერ მოვითმინე...

გელა. ჩაიფსი?

ნუგზარი. არა, შეჩემა, დავფურეკე.

გელა. ვის, ნუგი?

ნუგზარი. იმას... უწმინდურს.

გელა. აუ, ჭვარი აქაურობას, რა. რატო დაურეკე?

ნუგზარი. კაიფის პონტში.

გელა. მერე ღმერთი?

ნუგზარი. ღმერთი - სიბერეში, ჩემი ძმა.

გელა. შეჩემა, გუშინ თავს იკლავდი და დღეს რა დაგემართა! მოგინდა კაი ცხოვრება?

ნუგზარი. ვნახავ, რა. გავერთობი. ამ ცხოვრებაში

სხვა რა დამრჩენია. ცოლი მე ვერ მოვიყვანე... ქეთუშას ამბავი კი იცი. ამერიკაში ვერ წავედი. ფული ვერ ვიშოვე. თუმცა, რომც მეშოვა, მაინც არ წავიდოდი. შაკო გერმანიაშია, ჩამოდიო, მეპატიჟება. აქ იყო წუწურაქი და იქ რა იქნება. სად უნდა წავიდე? რო წავიდე, ოფიციალტათ უნდა ვიმუშაო და არ მინდა რა, შენი ჭირიმე. აგერ, გამოჩნა რაღაც პონტი... ჰა, დაარქვი შანსი. კაცი მოვიდა, სიმონო, საკაიფო რაღაცეებს გაგიჩითავო. უბრალოდ, რო მოკვდები, შენი სული ჩემი იქნებაო, რა. სირი უნდა ვიყო, რო არ დავთანხმდე. და მერე რამენაირად გადავაგდებ. ეგეთები გადაგვიგდია, გელა!

გელა. შენი საქმისა შენ იცი, ნუგზარ. შეიძლება, მართალიც იყო. სირული ცხოვრებაა და სირული ქვეყანაა. თავს უნდა უშველო, აბა რა! ერთადერთი რაც მაფიქრებს - სულია, ნუგი, შენი სული. სპირიტუსი, ტო!

ნუგზარი. სად არი ეს სული, გელა! დამანახე... ხელში დამაჭერინე! მომე, რა... რა, ვერ ხედავ? თუ არა გაქ?... ხოდა თუ არა გაქ, ნუ მიტრაკებ, რა. ჭერ მოძებნე და მერე წამიკითხე ლექცია.

გელა. ნუგი, მე სუ მკილია. ხო იცი.

ნუგზარი. მეც მკილია, გელა. მეც თან სულ.

ნაპრალიდან ბოლი გამოდის.

გელა. რა არი, შეჩემა, თონეა თუ სახლი!

ნუგზარი. მოვიდა.

გელა. ეშმაკა?

ბზარში მეფისტოფელი გამოჩნდება, რომელიც უკანასკნელ მოდაზეა გამოწყობილი.

ეს სირისტიანი ვინაა, ტო!
მეფისტოფელი . რა აზრისა ხართ ჩემს ახალ ტანი-სამოსზე?

ნუგზარი . გოიმურია, მაგრამ გიხდება.

მეფისტოფელი . დიდი მადლობა, ჩემო ნუგზარ.
ეს ჭეილი ვინაა?

ნუგზარი . გელაა, ჩემი მეზობელი.

გელა . კომერციული სასაფლაო „მწვანე კონცხის“
დირექტორი გელა ომარის ძე ტყეშელაშვილი.
/ხელს გაუწვდის ეშმაკს/

მეფისტოფელი . ხელს ნუ ჩამომართმევთ... ინა-ნებთ.

გელა . რა იყო, დაბანილი მაქ.

მეფისტოფელი . /კბილებს შორის გამოსცრის/ სა-
მაგიეროდ, მე მაქვს დაუბანელი.

ნუგზარი . /მეფისტოფელს/ ჩემი ძმა, გამოიხედე
აქეთ, გელა არი ჩემი სისხლი და ხორცი. წესიერად
ელაპარაკე, თორე ხო ხედავ, აქვეა ვაკის ეკლესია -
ერთი რო დავუსტვინო, რაც კი უბანში მღვდელია,
ყველა აქ გაჩნდება.

მეფისტოფელი . მაპატიეთ. აღარ ვიზამ. ნუგზარ,
საქმეზე გადავიდეთ. რა გადაწყვიტე?

ნუგზარი . ჭერ ის მითხარი, რატო გამომეცხადე მა-
ინცდამაინც მე? რა, ხალხი დაილია ამ ქვეყანაში!

მეფისტოფელი . არ დაიჭერებ, მაგრამ შემთხვე-
ვით მოხდა.

ნუგზარი . მე მეგონა, რაღაც განსაკუთრებულს
მეტყვოდი. რჩეულის პონტში.

გელა . რჩეული არა სირი.

ნუგზარი . მაიცა რა, გელა!

მეფისტოფელი . რაღაც მხრივ, რჩეული ხარ, რა
თქმა უნდა, მაგრამ მაინც... ასე ვთქვათ... შემთხვევით

თი რჩეული ხარ.

გელა . რაღაც დაბნეულია აი!

მეფისტოფელი . ნუგზარ, ძვირფასო, მაპატიე მაგ-
რამ ჩვენი საუბარი ამ ვაჟბატონის გარეშე რომ წარი-
მართოს, არ შეიძლება?

გელა . (მეფისტოფელს) რა იყო, რამეში ხელი
შეგიშალე, ძმაო?

მეფისტოფელი . თქვენ არ გეკითხებით, გელავ!..
ჰა, ნუგზარ, როგორ იქნება ჩვენი საქმე?

ნუგზარი . რას გიშლის, იყოს.

მეფისტოფელი . კი ბატონო, იყოს. იმედი მაქვს,
ხელშეკრულების დადებისას მაინც დაგვტოვებს.

გელა . არავითარ შემთხვევაში!

მეფისტოფელი . ეს გაუგონარია! წარმოუდგენე-
ლია! ტრადიციას ვერ დავარღვევთ, ნუგზარ! ხელ-
შეკრულება მხოლოდ ეშმაკისა და კლიენტის თან-
დასწრებით უნდა იდებოდეს.

ნუგზარი . ესლა თუ ბევრს გაატრიაკებ, საერთოდ,
არ მოვაწერ იმას... რა ქვია?..

გელახელს.

ნუგზარი . ჭიგარი ხარ, გელაუშ.

მეფისტოფელი . არ ინერვიულო, ნუგზარ! ყველა-
ფერი ისე იქნება, როგორც შენ გინდა...

გელა . მეც ივრე ვეუბნები ხოლმე ნანას, როცა ფუ-
ლი არა მაქ...

ნუგზარი . გელაუშ, ერთხელ მაინც მაგრა უნდა გა-
ვაკუო ამ ცხოვრებაში.

მეფისტოფელი . რას გულისხმობ, ნუგზარ?

ნუგზარი . რო ავიხსნათ, თქვენ მაინც ვერ გამო-
გებთ, მასწ! გელა გამიგებს.

გელა . ჭიგარი ხარ, ნუგზარ!

ნუგზარი . აუ, მაგარ მულამში ჩავარდი. ეშმაკამ

გაასწორა. გუშინ თავის მოკვლა მინდოდა, მაგრამ ეს ხო გუშინ იყო... დღეს რატომღაც გამისწორა ცხოვრებამ - რაღაცეები მომინდა. რაღაცეები გამეჩრია. თან, მგონი, საკაიფო რაღაცეები.

მეფისტოფელი. ნუგზარ, ძვირფასო, შენის ნებართვით, საქმეზე გადავალ. ჩიბიდან ფურცელსა და ბატის ფრთას ამოიღებს/ **გელა.** /მეფისტოფელს/ ფარშევანგი გაპუტე, ბიჭო?

მეფისტოფელი. ნუგზარ, სანამ ამ ტექსტს ხელს მოაწერდე, მითხარი - სიამოვნებათა რომელ მოდელს ინებებ? ზოგადად კავკასიურს, თუ კონკრეტულად ქართულს. ან იქნებ ანგლო-საქსური მოდელი გაინტერესებს? ამერიკულიც არ იქნებოდა ურიგო. მოდაშიცაა.

გელა. ტრადიცია არ დაივიწყო, ნუგიჩ! ერეკლე მეფე, თამარი, დავითი, შოთა...

ნუგზარი. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ჩემი ღირსი არ არის, მე მაინც ქართულ იმას ავირჩევ, რა...

მეფისტოფელი. ...მოდელს!

ნუგზარი. მოდელს, ხო!

მეფისტოფელი. ...ანუ ფულს, ძმაცაცებს, ცოლს, საყვარელსა და ღიბს...

ნუგზარი. ღიბი - ბებიაშენისამ!

მეფისტოფელი. ყოველთვის ასეა. ბუნების კანონია: ქართველი ქართულ მოდელს ირჩევს, გერმანელი გერმანულს... აი, მაგალითად, საწყალი, ბებერი დოქტორი ფაუსტი...

ნუგზარი. ისტორიის გაკვეთილი ჩაუტარე მამაშენს. დროზე იმასაქენი, რა...

მეფისტოფელი. ვიცოდი რომ ქართულ მოდელს

აირჩევდი, ნუგზარ. ამიტომ ტექსტი წინასწარ შევადგინე. წაგიკითხო?

ნუგზარი. წიგნი მესამე კლასის მერე არ წამოკითხავს! გენდობი.

მეფისტოფელი. ხელშეკრულება იდება ოთხმოცდაცხრამეტი წლის ვადით. მრგვალი რიცხვი არ შეიძლება.

ნუგზარი. ზრდილობიანი შეკითხვა მოსულა?

მეფისტოფელი. ბრძანე, ნუგზარ.

ნუგზარი. ერეკლე თუ მექნება ოთხმოცდაცხრამეტი წლის ასაკში?

მეფისტოფელი. კლიმაქსი - როგორც ასეთი - შენ არ შეგეხება, ნუგზარ.

გელა. /მეფისტოფელს/ ჩემი ძმა, მოიხედე აქეთ. ნუგზარს სულსაც რომ ემსახურო მერე, არ გამოვა?... აი, სიკვდილის მერეც, რა. არა გაქ ეგეთი ხელშეკრულება?

მეფისტოფელი. სამწუხაროდ, არა.

გელა. ნიკოლოზის დროა, შეჩემა? რას უყურებენ ჯოჯოხეთში, აშენდა ქვეყანა! როდემდე უნდა იყოთ ასეთი ბნელები!

მეფისტოფელი. რას ვიზამთ, რაცა ვართ, ეგა ვართ. ნუგზარ, მზად თუ ხარ?

ნუგზარი. სისხლის ანალიზი საჭიროა?

მეფისტოფელი. არ არის საჭირო.

ნუგზარი. შარდის?

მეფისტოფელი. ხუმრობ? კარგია. მომწონს. ბრავო.

ნუგზარი. მომე ფურცელი.

მეფისტოფელი. ხელისმოწერა სრულიად ზედმეტია - თითის ანაბეჭდიც კმარა. ცერი ენით დაისველე.

ნუგზარი . რა?

მეფისტოფელიცერი, ან საჩვენებელი თითი.
გელა. /მეფისტოფელს/ ცერი ბებიაშენს

დაუსველე.
ნუგზარი . აბა, ეს ფარშევანგის ფრთა რაღა

საჭიროა! შეჩემა, ცირკში ხო არა ვართ!

მეფისტოფელი . ფარშევანგის კი არა - ბატის,
ნუგზარ.

ნუგზარი. ერთი ისაა... ვიტყვი, ბოლოს და
ბოლოს, - ყლი!

მეფისტოფელი. ბატის ფრთას სიმბოლოური
დატვირთა აქვს. ბატის ფრთა რიტუალური
ატრიბუტია.

ნუგზარი. მომე ფურცელი. /მეფისტოფელს
„ხელშეკრულებას“ გამოართმევს/ აუგელუშე, რაღაც
შემეშინდასავით, ტო.

გელა. გინდა მეც მოვაწერო?

მეფისტოფელი . თქვენთვის არ შეიძლება გელა.
თავს ნუ დამაწყველინებთ.

გელა. მოაწერე, ნუგზარ, ნუ გეშინია. უცოდველად
იცხოვრე და ეს სირი ფეხებსაც ვერ მოგჭამს. ღმერთი
- დიდება მის სახელს - მერე, დარწმუნებული ვარ,
საკაიფოდ მოგისმენს და ხუთიანსაც დაგიწერს.
გაერთე, ნუგზარ! ძმაცაცებს დაეხმარე, კაცურად
იცხოვრე... გეკუთვნის, ტო!

ნუგზარი. კაცი ხარ, გელუშე, მადლობა.
/საჩვენებელ თითს ენით დაისველებს და
„ხელშეკრულებაზე“ საბედისწერო ანაბეჭდებს
დატოვებს/

მეფისტოფელი . გილოცავ, ნუგზარ! /დაიჩოქებს/
მიმსახურეთ, ჩემო მეუფე

გელა. გილოცავ, ნუგზარ. წინასწარ გილოცავ

ყველაფერს. ახალი წელი, ქორწილი, ბიჭის
დაბადება... რა ვიცი... ჯანმრთელობას, ბედნიერებას
და კარგად ყოფნას გისურვებ.

მეფისტოფელი . რას მიბრძანებს ჩემი ბატონი?

ნუგზარი . მე მეუბნები?

მეფისტოფელი . შენ გეუბნები, ნუგზარ.
დედამიწაზე ამიერიდან ერთი ბატონი მყავს
მხოლოდ. და ის შენა ხარ!

ნუგზარი . გელუშე, რა ვისურვო, ტო? ის
ნაბოზვარი ქეთუშა ხო არ მოვათრიო ყურით?
მაგრამ, მგონი, ქმარი ყავს.

მეფისტოფელი . რა პრობლემაა! გავაქრობთ.

ნუგზარი . ბიჭო, მე სული მოგყიდე, ბოროტი კი
არ გავხდი. რას ნიშნავს - „გავაქრობთ“! ქალს,
შეიძლება, გადასარევი ოჯახი აქვს... რატო უნდა
ჩავუჩვავ? ქალები დაილია? ჯერ უცხოეთი მომატარე,
ჯივარ! ნიუ-იორკი, ლონდონი, პარიზი... მოსკოვი,
ტო! მოსკოვი! ჯარის მერე არ ვყოფილვარ! წავედით
მოსკოვში!

მეფისტოფელი . სალამანდრა, უნდინე, სილფე და
კობოლდ, ადასრულეთ ბატონის ბრძანება.

გელა. ნუგზარ, მგონი, ნახალოვკელი ქურდები ჩა-
მოთვალა.

ნუგზარი . გელუშე, უშენოდ არსად არ წავალ.

გელა. არ შემიძლია, ნუგზარ, სამი მკვდარია
ოფისში შემოსული. ეს ხალხი ჩემი დასამარხია.

ნუგზარი . შეჩემა, სამივეს გავაცოცხლებ!

გელა. ხო არ გაგიჟებულხარ! ნანა ბაკურიანშია
წასასვლელი.

მეფისტოფელი . მიცვალებულთა გაცოცხლებას
ნუ მომთხოვთ. ეს თქვენი უზენაესი პრეროგატივაა.

გელა. მერე იყოს, ნუგზარ. აქა არა ვარ!

მეფისტოფელი . ჰაერი ჩაისუნთქე, ნუგზარ,
ნუგზარი . დაიწყო გუგუნნი!

ნუგზარი და მეფისტოფელი ჰაერში აიჭრებიან.

გელა. /ადღებულა - ნერვიულად იცინის/
გეკუთვნის, ნუგზარ, გეკუთვნის!

პირველი მოქმედების დასასრული

მეორე მოქმედება

სურათი პირველი

ნუგზარის ოთახი. სიახლეები: ამოქოლილი ბზარი, შეთეთრებული კედლები და, შესაბამისად, ახალი ავეჯი. შემოდის ნუგზარი. მას ტყავის შავი შარვალი და ქურთუკი აცვია. ცერზე ვეებერთელა ბეჭედი უკეთია, ხოლო კისერზე ოქროს მძივი - გურკვეველი, ოვალური მედალიონით. დაკვირვებული მაცურებელი მედალიონზე ამოტვიფრულ ლათინურ N-საც გაარჩევს.

ნუგზარი . რაღაცეები მინდა. ბევრი კარგი რაღაცა მინდა. ბევრ კარგ რაღაცასაც გავაკეთებ. /ოთახს ათვალიერებს/ ვახ! ვახ! ვახ!.. გელუშ, შემო, რა!

შემოდის გელა.

რატო არ შემოდის? აუ, არ შეიცვალა რა, გელუშ! რახან ფული გამიჩნდა, სხვანაირად ნუ მომეჭეცევი, რა... მოწიწება და რამე არ გინდა, ჩემი ძმა.

ძველი ნუგზარ ვარ, გელუშ.
გელა. ჯიგარი ხარ, ნუგზარ!

გელა და ნუგზარი ერთმანეთს გადაეხვევიან.

ცოტა გასუქდი,ხო იცი შენ!
ნუგზარი . ძველ ნუგზარას აღარ ვჯობივარ?
გელა. აქ რემონტი გაგიკეთა იმ სირმა. დედა უტირა პარაბას. ეხლა საგიჟეთში წევს.

ნუგზარი . ეგრე უნდა. თავის ნებაზე რო მიუშვა, ხელს არ გაანძრევინ.

გელა. კაი იყო? მომიყევი, რა. რა ხდება მსოფლიოში? აშენდა პარიზი?

ნუგზარი . ეჰ, ბევრი რამ ხდება, ჩემო გელა, ამ ცოდვილ მიწაზე.

გელა. ქართველებს ქალებზე გვიყვარს ლაპარაკი. აქედან დავიწყეთ.

ნუგზარი . ბევრი კარგი ქალი გავიცანი, გელუშ...

გელა. მაინც დიდი რაოთახი ხარ, რა...

ნუგზარი . მოსკოვი, ვილნიუსი, კიევი...

გელა. უკრაინელი ქალები, ტო!

ნუგზარიბერლინი, ელეი...

გელა. ეგ სადაა?

ნუგზარი. ლოს-ანჯელესი, ბიჭო! იქ ეგრე ეძახიან.

გელა. გაუნათლებელი ვარ, ნუგზარ. იცი.

ნუგზარი. დაიკიდე. მიყვარხარ.

გელა. ...ესე იგი, გაერთე.

ნუგზარი. დავისვენე...

გელა. კმაყოფილი ხარ.

ნუგზარი. მაგარი!

გელა. უწმინდური სადაა?

ნუგზარი . ბაზარში გავუშვი... მალე მოვა. მძლო-

ლად გამაფორმეო, გამიტრაკა.
გელა. ხელფასი?
ნუგზარი. მგეც სულის პონტიში გადის.
გელა. გააფორმე მერე. შენი რა მიდის!
ნუგზარი. გელუშ, ცოლი მინდა მოვიყვანო...
ოჯახი მინდა შევქმნა.
გელა. შარში გაეხვევი. ვილნიუსში და კიევში კი
მეღარ იგლი ეგრე...
ნუგზარი. ალარც მინდა. რომც მომინდეს, წავალ.
ვეტყვი, საქმეზე მივდივარ.
გელა. ვინმე ნახე?
ნუგზარი. გაგეცინება.
გელა. გამაციინე. ვიმსახურებ.
ნუგზარი. ხო იცი, რა ძალა აქვს პირველ სიყვა-
რულს?
გელა. ის ქეთუშა, ტო?
ნუგზარი. ბედია, რა. არ გათხოვილა. ლონდონი-
დან დავურეკე.
გელა. შენი კლასელი არ იყო?
ნუგზარი. ათი წელი ზუსტად.
გელა. მერე ორმოცი წლის ქალი რა ჯანდაბად გინ-
და!
ნუგზარი. პატარა გოგოების მეტი რა მყავს, გე-
ლუშ! სიყვარული მაინც სხვაა. მესიზმრება ემ
შობელძალი! მენატრებას პონტია.
გელა. შენი საქმისა შენ იცი, ძმაო. განათხოვარია?
ნუგზარი. უკოცნელია, შეჩემა.
გელა. ორმოცი წლისა და ქალიშვილია? რა, წმინ-
დანია!
ნუგზარი. ეგეთი როა, იმიტო მინდა. რო დავურე-
კე, თავიდან ვერ მიცნო. ძლივს გამიხსენა. როგორც
წესია, საკაიფო, ბოხი ხმით გელაპარაკე, ეროტიულ

პონტიში. სიტყვებს უწმინდური მკარნახობდა.
გელა. უწმინდური დედასავით გივლის, რა.
ნუგზარი. იმ ღამეს ორჯერ დავესიზმრე ქეთუშას.
ესეც უწმინდურმა მოიფიქრა. სახეზე უნდა გაგიხსე-
ნოსო. დილით შეყვარებულმა გაიღვიძა. დღიურშიც
ჩაუწერია: მგონი, ნუგზარ გელაშვილი შემეყვარ-
დაო.
გელა. ორმოცი წლის ქალი კიდევ დღიურებს
წერს?
ნუგზარი. არ არი ჭერ ორმოცის! რა გამიტრაკე
საქმე?
გელა. ბოდიში, ძმაო. შენი გაფუჭებული საქმისა
შენ იცი-მეთქი.
ნუგზარი. დღეს უნდა ვნახო... რესტორანში
მიმყავს.
გელა. ფული გადადე პლასტიკური ოპერაციისათ-
ვის.
ნუგზარი. პლასტიკური ოპერაცია ნანას გაუკე-
თე!
გელა. გადავყვები თან!
ნუგზარი. მაგარ ხასიათზე ვერ, გელუშ! საჩუქარი
გაგიკეთე... მერე გეტყვი.
გელა. ეხლა მითხარი, რა.
ნუგზარი. მერე, მერე... ჭერ საქმე. ჭერ ქეთუშა.
გელა. კომერციულს ვხურავ, ნუგზარ. ხალხი აღარ
კვდება.
ნუგზარი. მოიცა, მოიცა... მერე სამსახური... ფუ-
ლი?
გელა. რა ვქნა, შეჩემა! კლიენტები არა მყავს...
ბოლო მკვდარი ერთი კვირის წინ შემოვიდა, ისიც
ნანას ბიცოლა... ვაჭრობას ხო არ დავუწყებდი! კაპი-
ებდალ დავმარხე.

ნუგზარი . ნუ ღელავ, გელუშ, აქ არა ვარ!

გელა . იმიტო კი არ გეუბნები, რო რაღაც...

ნუგზარი . ჩუ, რა.

გელა . ნუგირ!

ნუგზარი . ჩუ-მეთქი, რა.

გელა . ჩიბიდან სიგარეტს ამოიღებს/ რა ტიპი ხარ,

ტო. გინდა?

ნუგზარი . ვმარხულობ. სიგარეტსაც არ ვეწევი.

გელა . მერე უწმინდური?

ნუგზარი . ფეხებზე მკიდია.

*შემოდის მეფისტოფელი - მძლოლებსათვის და-
მახსიათებელი ჩაცმულობით.*

მეფისტოფელი . ნუგზარ, ძროხის ხორცი მოვიტა-
ნე და მაცივარში შევდე. სალამოს კატლიტებს გაგ-
კეთებ. გამარჯობა, გელა...

გელა . სალამი.

მეფისტოფელი . ნუგზარი ხუთ საათზე ქეთუშას
უნდა შეხვდე, არ დაგავიწყდეს... მოტოციკლეტით
წახვალ - ახალგაზრდულად, თუ ქალაქურად - მანქა-
ნით?

გელა . ლექსივით თქვა აი!

ნუგზარი . მანქანით წავალ.

მეფისტოფელი . ესე იგი, მე არ გჭირდება?

ნუგზარი . შენ მე საერთოდ არ მჭირდება. შენ
თვითონ მეტენები.

გელა . ჭიგარი ხარ, ნუგირ.

მეფისტოფელი . მართალია - მე გეტენები! და ვა-
მაყობ კიდევ ამით. ნუგზარ, ძვირფასო, ახლა საქმე-
ზე გადავიდეთ. შენ და ქეთუშა წახვალთ რესტორან
„იმერეთში“ - სანაპიროზე. ბევრს არ დაღვე. და-

ღვეს ქეთუშა. დათვრება. შესაძლოა, გულიც აერო-
ოს. ამან არ შეგაშინოს - უფრო შეგიყვარდება. უფ-
რო სწორად, ჭერ შეგეცოდება, მერე შეგიყვარდება.
თავის ბიოგრაფიას მოგიყვება. მამამისს გალანძღავს,
რომელმაც ოჯახი 1981 წელს მიატოვა. უკანა გზაზე,
მანქანაშივე აკოცებთ ერთმანეთს. არ გამოვრიცხავ
ქეთუშას ორგაზმსაც. ახლა რაც შეეხება მის გარეგ-
ნობას: ლამაზიაო, ვერ ვიტყვით. თუმცა, ტან-ფეხი
კარგი აქვს. მკერდია ცოტა გასაზრდელი.

გელა . ხო ვთქვი - პლასტიკური ოპერაცია დაჭირ-
დება-მეთქი!

მეფისტოფელისისხლ-ძარღვები წესრიგში აქვს.
ფილტვებიც სუფთა აქვს. იშვიათად ავადმყოფობს.
ბავშვობაში ჰქონდა წითელა. ერთხელ სოკომაც მო-
წამლა. ნუგზარ, ჯადომ იმოქმედა - მას უკვე ძალიან
უყვარხარ. სიზმარმა გაამართლა, ნუგზარ, ხომ
გეუბნებოდი!

ნუგზარი . სად ცხოვრობს?

მეფისტოფელი . თერთმეტსართულიანში, ცირკი-
დან... ხუთ საათზე სადარბაზოსთან იდგება. გეხვე-
წები, ნუგზარ, სექსს ნუ შესთავაზებ - დაფრთხება.

ნუგზარი . მიყვარს, ბიჭო, ხო არ გამოსირდი! სექ-
სი რა შუაშია.

მეფისტოფელი . მე ჩემი გითხარი.

ნუგზარი . რომელი საათია?

მეფისტოფელი . დროა! გასწი, ნუგზარ.

ნუგზარი . წარმატება მისურვე, გელუშ. გუგუნე
გრძელდება.

გელა . ნუგირ, პელე ხარ!

ნუგზარი გადის.

მეფისტოფელი . რა უცნაური არსებაა! ამქვეყნად ამდენი მშვენიერი ქალია, მას კი მაინც იმ მახინჯი ქეთუშასკენ მიუწევს გული... ანტიკურ საბერძნეთში შეგთავაზე მოგზაურობა, მშვენიერ ელენეს გაგაცნობ-მეთქი, ქვა ააგდო და თავი შეუშვირა – უკან გაიკვებე შენი ელენეც და შენი საბერძნეთიცო.

გელა. საქართველოში პირველად ხარ?
მეფისტოფელი . რამდენიმე ქართველთან აღრეც მქონია შეხება.

გელა. კოწიკა ფულარიანს იცნობ?
მეფისტოფელი . ვერ ვიხსენებ.

გელა. ნოდარა ტყებუჩავას?
მეფისტოფელი . სახელი მეცნობა...

გელა. ლადო სინარულიძეს? პლატოზე რო ცხოვრობს...

მეფისტოფელი . სამწუხაროდ, არ ვიცნობ... არა...
გელა. ვერელებს იცნობ? ოთარას, მაგალითად, ფიფიას?

მეფისტოფელი . ოთარ ფიფია? უნდა დაგფიქრდე.
გელა. მიდი, მიდი, იფიქრე, მე არ მერქარება.

ს უ რ ა თ ი მ ე ო რ ე

რესტორანი „იმერეთი“. პატარა სუფრა. ნუგზარი მართოა.

ნუგზარი. /სკამზეა მიწოლილი, თვალები დახუჭული აქვს/ ბატონი ნუგზარ გელაშვილიშვილი. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი.

შემოდის ქეთუშა - ფერმკრთალი, ლამაზი, ოდნავ მსუქანი ქალბატონი – პატარა ხელჩანთით ხელში.

ქეთუშა . /სუფრას მიუჯდება/ არ უნდა დამელია. მაწყინა.

ნუგზარი . აქ თუ არ მოგწონს, სხვაგან წავიდეთ, ქეთუშ.

ქეთუშა . მე კი მომწონს აქაურობა, უბრალოდ, აქაურობას არ მოგწონვარ, ნუგზარ...

ნუგზარი . ჯიგარი ხარ.

გაიცინებენ.

ქეთუშა . დედაჩემის სხეული მაქვს: უიმუნითეტო და ტლანქი. რაც თავი მახსოვს, დედა სულ ავად არის. წნევა, გულის უკმარისობა, შაქარი, ფეხზე - მარტილები... მგონი, მეც დედაჩემის გზით მივდივარ. ზუსტად იმ დღეს, როდესაც აკადემიაში დიპლომი დავიცავი, ისე მოვიწამლე რომ ერთი თვე საავადმყოფოდან არ გამოვსულვარ. ნიყვმა მომწამლა. სოკომ. კინალამ მოგკვდი, ნუგზარ! ნიყვმა ორგანიზმი დამიშალა... მთელი სხეული...

ნუგზარი . მოგაყარო შეკითხვები?
ქეთუშა . ლაპარაკის უცნაური მანერა გაქვს, ნუგზარ. მე ეს მომწონს. ძალიან მომწონს.

ნუგზარი . რატო არ გათხოვდი? ოღონდ, არ მითხრა, თაყვანისმცემლები არ მყავდაო...

ქეთუშა . ჯერ ყველას ვიწუნებდი, მერე ეს ჩვევაში გადამივიდა... თავს ვიფასებდი... არ მეგონა, თუკი ასე სწრაფად დავბერდებოდი.

ნუგზარი . რა დროს სიბერეა, ქეთუშ! გაიღიმე - ღიმილი გიხდება. ბავშვობაში მაგრა მიყვარდი... ერთხელ კინოშიც დაგპატიყე, მაგრამ ბევრ გოგოსთან ერთად მოხვედი და ბილეთი არ შემხვდა...

ქეთუშა . როგორ მენატრება ბავშვობა!

ნუგზარი . მართლა მაგრა გენატრება?
ქეთუშა . ძალიან მენატრება, ნუგზარ...
ნუგზარი . მე საერთოდ არ მენატრება...
ქეთუშა . რატომ დამირეკე?
ნუგზარი . იმიტომ რომ შენი ნახვა მინდოდა. მინდოდა და მორჩა.
ქეთუშა . შენ ჩვენთან მერე გადმოხვედი, არა?
ნუგზარი . სად, სკოლაში? ხო. უფრო სწორად, ჭერსხვა კლასში ვსწავლობდი... პირველი ბე. მერე განხანგრძლივებულში გადავედი. ბოლოს, თქვენთან გადმომიყვანეს. მაგრამ განხანგრძლივებულში მაინც ვრჩებოდი ხოლმე, რამდენიმე ძან სევდიან ბავშვთან ერთად.
ქეთუშა . ნუგზარ, მეპრანჭები?
ნუგზარი . რატომ მეკითხები?
ქეთუშა . ზუსტად მინდა რო ვიცოდე.
ნუგზარი . გეპრანჭები, ქეთუშ...
ქეთუშა . ბავშვები ხო არა ვართ, ნუგზარ...
ნუგზარი . /თავისთვის/ პირდაპირ სექსი უნდა ამ ჩემისას! /ქეთუშას/ როცა ვილაც მოგწონს, ასაკს იკლებ და ბავშვივით იქცევი. ეს აქსიომაა... /პაუზა/ ქეთუშ...

უეცრად მათ შორის მეფისტოფელი გაჩნდება. კარგი იქნება, თუკი ის მიწიდან ამოიზრდება.

მეფისტოფელი . არ დაფრთხე, ნუგზარ. შენი სატრფო მე ვერ მხედავს. ამჟამად ფიზიკურად შენს სახლში ვიმყოფები და იმ იდიოტს ვესაუბრები, ხოლო სულიერად, უფრო სწორად, ვირტუალურად - სად აქვთ ეშმაკებს სული! - შენს განკარგულებაში ვარ და ახალ ბრძანებებს ველი.
ნუგზარი . რატომ მოხვედი?

მეფისტოფელი . შენ თვითონ მიხმე. გონებაში ჩემი სახელი წარმოთქვი.
ნუგზარი . ჭიგარი ხარ...
ქეთუშა . დიდი მადლობა, ნუგზარ. თუმცა, წესიერად არც კი ვიცი, რას ნიშნავს სიტყვა „ჭიგარი“.
ნუგზარი . შენ არ გეუბნები, ქეთუშ... ბოდიში... უფრო სწორად, შენ გეუბნები. „ჭიგარი“ ნიშნავს „ჭიგარს“.
ქეთუშა . გასაგებია.
მეფისტოფელი . რას დამავალებ, ნუგზარ?
ნუგზარი . მე თვითონაც არ ვიცი...
ქეთუშა . ვერც მე გავუგე ამ ცხოვრებას...
მეფისტოფელი . რამე გაწუხებს, ნუგზარ?
ნუგზარი . ეს ქეთუშა მაგარი მოწუწუნე ვინმეა... თან მაგრა ავადმყოფობს... ერთი სიფილისი არა აქვს, რა. რახიატიან შვილებს გამიჩენს. რო ვფიქრობ, საერთოდ, ცოლის მოყვანაც აღარ მინდა, მაგრამ ვერ ვჩერდები - მაინც ვეპრანჭები... თან მინდა, თან არ მინდა. რა პონტია?
მეფისტოფელი . ჯადო მოქმედებს. ქართული ჯადო. ხელშეკრულების ქართული მოდელი. ქართველმა კაცმა აუცილებლად უნდა მოიყვანოს ცოლი. წინააღმდეგ შემთხვევაში, საზოგადოებრივი თვალსაზრისით დასნეულდება. თუ გინდა, ქალს გამოგიცვლი?
ნუგზარი . არა... უკვე მაგრა მეცოდება.
მეფისტოფელითუმცა, სიყვარულით ნამდვილად არ გიყვარს.
ნუგზარი . ჭერ რა დროს სიყვარულია!
მეფისტოფელი . მერეც ასე იქნება. სუფთა ქართული მოდელია. ხომ ვამბობ.
ნუგზარი . რა ვქნა?

მეფისტოფელი. პროცესი დააჩქარე. შეპირდი ყველაფერს, რაც კი თავში მოგივა. ქართველ ქალებს ეს უყვართ. ის უკვე ყველაფერზე თანახმაა. გაითვალისწინე მისი ასაკი. ქეთევანი ხვდება, რომ შენ მისი ბოლო შანსი ხარ.

ნუგზარი. ბავშვობაში მინდა ვამოგზაურო.
მეფისტოფელი. ბავშვობაში, რომელიც შენ გეკუთვნის, თუ მას?

ნუგზარი. ჩვენ საერთო ბავშვობა გვქონდა.

ქეთუშა. ჩვენ დაკარგული თაობა ვართ, ნუგზარ...

მეფისტოფელი. საქმეს შეუდექი, ჩემო მეუფეგ, საქმეს! მე კი დაგტოვებ... იმ იდიოტს უნდა მოვუხერხო რამე. /უჩინარდება/

ქეთუშა. როცა ხმას არ იღებ - მამაჩემს გავხარ. როცა ლაპარაკობ - დედაჩემს. რატომ ხარ ასეთი ახლობელი?

ნუგზარი. ვიცეკვოთ?

ქეთუშა. სკოლის ბანკეტის მერე არ მიცეკვია.

ნუგზარი. არც მე. ცეკვა საერთოდ არ ვიცი, მაგრამ ჩემი თავის იმედი მაქვს.

ქეთუშა. ძალიან გავსუქდი...

ნუგზარი. ცეკვის დროს გახდები.

ქეთუშა. ვაი! ნუგზარ, საიდან ისმის ეს მუსიკა?

ნუგზარი. /დუმბილის შემდეგ/ გულიდან.

წამოდგებიან. ზანტად ცეკვავენ მუსიკის გარეშე.

ქეთუშა. მე თვითონაც ვერ ვხვდები, რა მჭირს. რატომ ვარ ასე კარგად!

ნუგზარი. /წყვეტს ცეკვას. უაღრესად სერიოზულად/ რაღაც უნდა გითხრა, ქეთუშ. მე ყველაფერი შემიძლია. მე მაქვს ბევრი ფული. მაგარი სახლი. თუ

მომინდა, თვითმფრინავსაც ვიყიდი და გემსაც. ნუგზარი ვარ, ქეთუშ, გელაშვილი.

ქეთუშა. გამარჯობა, ნუგზარ. ვიცი. ძალიან სასიამოვნოა.

ნუგზარი. მე ეშმაკთან გავაფორმე ხელშეკრულება. სული მივყიდე. ამიტომ, რასაც მოვისურვებ, ყველაფერს შემისრულებს... თავს უფლებას მივცემ და უკვე ასე ვიტყვი: ყველაფერს შეგვისრულებს. მრავლობით რიცხვს მიაქცევ ყურადღება.

ქეთუშა. უკვე მივაქციე. გისმენ.

ნუგზარი. დიეტის გარეშე გახდები, ქეთუშ! შენ ოღონდ ისურვე... ეს ხუმრობით. ეხლა სერიოზულად: დედაშენი გამოჯანმრთელდება...

ქეთუშა. შენ გინდა რომ მეც მოვაწერო ხელი იმ ხელშეკრულებას?

ნუგზარი. არა. მე მინდა რომ ცოლად გამომყვე.

ქეთუშა. ასე სწრაფად? ჩვენ ხომ წესიერად არც კი ვიცნობთ ერთმანეთს...

ნუგზარი. ვიცნობთ, ქეთუშ. დამიჯერე.

ქეთუშა. მოიცა, მოიცა, ნუგზარ! მიუხედავად იმისა, რომ მამაჩემი კომუნისტური პარტიის წევრი იყო და ჩვენი ოჯახი დიდი ეკლესიურობით არ გამოირჩეოდა - მე ვერ ვიტყვი, რომ რელიგიური არა ვარ... იცი, რაღაცნაირად მჭერა, რომ ღმერთი არსებობს! მონათლულიც ვარ. დედაჩემის თანამშრომლები არიან ჩემი ნათლიები. ამით იმის თქმა მინდა, რომ შენმა სიტყვებმა, ცოტა არ იყოს, შემაშინა, ნუგზარ.

ნუგზარი. ქეთუშ, მეც ეკლესიური ვარ! გეფიცები, ეხლა გმარხულობ კიდეც. სანთლებსაც ვანთებ. შესაწირი, რამე... ეშმაკი მძლოლად მყავს გაფორმებული.

ქეთუშა . ნუგზარ, საკუთარ მძლოლს მიყიდე სული?
ნუგზარი . ჰიგარი ხარ. ხუმარა ხარ. ასეთი მომწონხარ. დაიკიდე, რაც გითხარი. შეიძლება, საერთოდ, არაფერი არ უნდა მეთქვა ამ ხელშეკრულების შესახებ, მაგრამ ვერ მოვითმინე... რაც სათქმელია - უნდა ითქვას. კაცები ქალებს ბევრ რალაცვებს უმაღლავენ ხოლმე. მაგრამ მე ვბეთი არა ვარ.

ქეთუშა . რო მოკვდები... მაპატიე - რო გარდაიცვლები - ჯოჯოხეთში მოხვდები, ნუგზარ?
ნუგზარი . გააჩნია როგორ მოვიქცევი.
ქეთუშაკი მაგრამ - ხელშეკრულება?
ნუგზარი . დავხევი... გაწყობს?
ქეთუშა . ღმერთი რას იტყვის?.. ღმერთი ხო არ სებობს!.. რალაც სისულელეებს ვლაპარაკობ, ნუგზარ... დავიბენი. არ ვიცი, რა ვქნა... რა ვიფიქრო!
ნუგზარი . მითხარი: კი, ან არა.
ქეთუშა . არა!.. კი... არა!.. ნუგზარ... შენ რა გითხარი!.. რა მიქენი ეს!
ნუგზარი . ბავშვობაში სად ისვენებდი ხოლმე?
ქეთუშა . ფოთში. ნათესავები მყავს. ხანდახან, ბიჭვინთაშიც. რაში გაინტერესებს?
ნუგზარი . ბოლოს როდის იყავი ბიჭვინთაში?
ქეთუშა . აღარც კი მახსოვს. ათი... თხუთმეტი წლის წინ. რატომ მეკითხები?
ნუგზარი . 1980 წელი... თუ 70? სამოცდაათიანი წლები გირჩევნია, თუ ოთხმოციანი?
ქეთუშა . შეკითხვა დამიკონკრეტე, ნუგზარ!
ნუგზარი . მორჩა. ვიცი. 1965 წელი. აგვისტოს ბოლო. ბიჭვინთა. წავიდა გუგუნნი!

ნუგზარი ხელს ჩაავლებს ქეთუშას. ცოტაც და სუფრიანად აიჭრებიან ჰაერში.

ს უ რ ა თ ი მ ე ს ა მ ე

ნუგზარის ოთახი. მეფისტოფელი.

გელა . ზურა კუტივაძეს?
მეფისტოფელი . არა... სამწუხაროდ, არ ვიცნობ.
გელა . ალიკა ფაჩულიას? ვაკელ ალიკას არ იცნობ? ეშმაკი ხარ, თუ სირი ხარ, შეჩემა! გოგიტა ჩაფიჩაძეს?
მეფისტოფელი . მაპატიეთ, მაგრამ არცერთს არ ვიცნობ.
გელა . სოფლელივით იქცევი, რა. კაი. გავარკვიე რო ქაჩი ხარ. მოვრჩი შენთან ლაპარაკს. დაისვენე.
მეფისტოფელი . მე არც ქაჩი გახლავართ და არც ჭინკა, ჩემო გელა. ჯოჯოხეთური იერარქიის მიხედვით, მე ბევრად უფრო მაღალ საფეხურზე ვდგავარ.
გელა . თუ გეწყინა - ცივი წყალი დალიე. გამოთქმა ასეთი.
მეფისტოფელი . ვიცი.
გელა . ჭკუის კოლოფი ხარ.
მეფისტოფელი . თქვენგან მშვენიერი ეშმა დადგებოდა, გელა! ჯოჯოხეთში ხომ არ ინებებდით გასერიხებას?
გელა . ჯვარი აქაურობას!.. სირო შენა...
მეფისტოფელი . ამ ბოლო დროს ხალხი ძალიან გაუზრდელდა. ვგულისხმობ უკანასკნელ ორ-სამ საუკუნეს. ჩემი ნება რომ იყოს, ყველას ხოჭოებათ დააგაქცევდით. ეს ხუმრობით. თქვენი ძმაცად კაცად ვაქციე, ჩემო გელა! სუიციდალური ვნებები დავუჩლუნგე და საზოგადოებას კიდევ ერთი ჯანმრთელი ერთეული შევმატე.
გელა . ძანაც ვერ ვატყობ, რო კმაყოფილი იყოს...

მეფისტოფელი . დიდი ბოდიში, მაგრამ იმიტომ რომ იდიოტია!

გელა. ნუგზარაზე ამბობ?

მეფისტოფელი . ჩემს კლიენტზე! წარმოსახვანოლი. ჭკუა - ნოლი. საერთოდ, ყველაფერი ნოლი. ის სურვილებსაც კი ვერ იგონებს, იმდენად შეზღუდულია. სიმდიდრე, ქალები... მდარე ეროტიული სურვილებით შეპყრობილი გაუნათლებელი მდაბიო - აი, ვინ არის თქვენი ნუგზარი! მაპატიე რომ ვჭორაობ, მაგრამ თავს ვერ ვიკავებ. თანაც ჭორაობა ჩვენი, ეშმაკების საყვარელი საქმიანობაა! ცხონებულ ფაუსტს დღეში სულ მცირე 100-120 სურვილი მაინც ჰქონდა, თანაც ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული! თქვენი ძმაკაცი კი უბრალოდ ვერ იგონებს, რამ შეიძლება რომ მიანიჭოს სიამოვნება. ერთი თვე ლონდონში მყავდა და ფულის დახარჯვა ვერ შეძლო... რესტორნებსა და ბარებში სიარული მალე მობეზრდა. საროსკიპოებიც მალევე მოიყიჭა. წესიერი ინგლისელი ქალბატონები კი ცხენებს შეადარა. „ქოვენტ გარდენისკენ“ არც გაუხედავს და არც ნაციონალურ გალერეაში შესულა „მზესუმზირების“ სანახავად - ოპერასა და ვიზუალურ ხელოვნებას ებთურბე, ვერ იტანს. და ვერც წიგნებს, სხვათა შორის, - ტუალეტის ქაღალდი სასტუმროშიც ბლომად მაქვსო. აუტანელია მისი პროვინციალური ჰუმორი! აქედან გამომდინარე, ნუგზარის გართობა, პრაქტიკულად, შეუძლებელია. შეზღუდული ადამიანი, ბუნებრივია, ეშმაკსაც ზღუდავს.

გელა. მაინც ჩათლახი ეშმაკი ხარ, რა... ნუგზარას ასე უყვარხარ და შენ ვერც ლანძღავ. თესლი და ნაბოზგარი ხარ! ამას გეუბნები მე, გელა ტყეშელაშვილი.

მეფისტოფელი . წუწუნის უფლებაც არა მაქვს, კაცო?! რა მონდა, რომ ჩემი ნუგზარის უახლოეს მეგობართან ვიჭორაო... ნუგზარი მე შვილივით მიყვარს, დედასავით თავს ვეგლები... უფრო სწორად, მამასავით. და მე მაქვს იმის უფლება რომ...

გელა. შენ ვერასოდეს შეუცვლი ნუგზარას ძია ლადოს და დეიდა ეთერის...

მეფისტოფელიმშობლებს, ანუ.

გელა . ხო, მშობლებს.

მეფისტოფელი . არც გაპირებ და რომც დავაპირო - არ ვიკადრებ.

გელა. ჩემთან დაგკრძალე ორივე, საბურთალოზე. მაშინ იქ გმუშაობდი. კაპიკი არ გამომირთმევია ნუგზარასთვის. ღმერთმა გაანათლოს ორივეს სული!

მეფისტოფელი . ამინ.

გელა. უწმინდურო, წესიერად მოიქეცი... კაცურად! გაიგე შენა? ქალაჩუნასავით ნუ ატლიკინებ ენას, თორე ჩაგიყვან უბანში და მერე გასწავლიან იქ ნორმალურ ლაპარაკს. ეხლა წადი, სიგარეტი ამომიტანიე... ციურის უთხარი, ნისიათ მოგცეს.

მეფისტოფელი . ნუ დაგავიწყდებათ, გელა - ნუგზარი არა ხართ. ამგვარი საექვო მოლაპარაკებები თქვენ თვითონ აწარმოეთ ვინმე ციურისთან.

გელა. შენ რა ბუტია ყოფილხარ ე!

მეფისტოფელი . /კისერს წაიგრძელებს/ მაპატიეთ!

გელა. რა იყო?

მეფისტოფელი . არაფერი გესმით?

გელა. რა უნდა მესმოდეს?

მეფისტოფელი . ვერ გრძნობ?

გელა. დედას ნუ შემაგინებინებ, ჩემი ძმა.

მეფისტოფელი . სიახლის სუნი მცემს... სიახლის

სუნი მცემს! /დერეფანში გასასვლელი კარისკენ გა-

იქცევა/ მოდიან!.. მოდიან!
გელა. ეს ცოტა გიჟი ხო არაა!

შემოდინ ქეთუშა და ნუგზარი. ქეთუშას ხელში
თაიგული უჭირავს, ბედნიერებისაგან გაბრწყინებული
სახე აქვს. ნუგზარს რაღაც უცნაური, გრძელი
მოსასხამი აქვს მოხურული.

მეფისტოფელი . /განწირული ხმით მღერის/ მრავალ
უამიიიიიიი... მრავალუამიიიიიი...
ნუგზარი . /მეფისტოფელს/ ტვინი ნუ წაიღე,
ბიჭო!.. გელუშ, მოდი აქ!

გელა. აქა ვარ, ნუგზარი.

ნუგზარი . გაიცანი, ჩემი ქეთუშა.

გელა. ქალბატონო ქეთევან... შეიძლება რომ ასე
მოგმართოთ?

ქეთუშა . /დაბნეულია/ დიდი მადლობა.

გელა. თქვენზე ძალიან ბევრი კარგი რამე მსმენია,
ქალბატონო ქეთევან... დაო, ჩემი ძმის, ჩემი ძმაცაცის
უძვირფასესო ადამიანო და მართლა ვარსკვლავო!
მეყვარებით, ერთგული ვიქნები, ძმა დამიძახეთ.
გელა ტყეშელაშვილი.

ქეთუშა . ისე სწრაფად მოხდა ყველაფერი, რომ
თავბრუ მაქვს დახვეული... დედაჩემს დავურეკე,
მეთქი - ასე და ასე, დედა - ვთხოვდები... ჭკუაზე არა
ვარ. იტირა. დედაჩემმა იტირა, ნუგზარი. ადრე მარტო
სახსრების ტკივილისაგან ტიროდა, ახლა კი
სიხარულისაგან აეტირა...

მეფისტოფელი . მე ნუ დამივიწყებ, ნუგზარი.

ნუგზარი . გაიცანი, ქეთუშა... ეშმაკა.

მეფისტოფელი . /ხელზე ემთხვევა ქეთუშას/ მისი
ბრწყინვალეობა ფონ ბელზებული.

ქეთუშა . ძალიან სასიამოვნოა. რატომ ხართ ასეთი
ცუდი?

მეფისტოფელი . ხანდახან კარგიც ვარ. /ჩიბიდან
ვარდს ამოიღებს და ქეთუშას თმაში ჩაუმაგრებს/
ქეთუშა . არ მატკინოთ...

მეფისტოფელი . როგორ გეკადრებათ!

ქეთუშა . დიდი მადლობა.

გელა. ნუგზარი, ქორწილს როდის ნიშნავ?

ნუგზარი . რა ვიცი... დღესვე თუ გინდა!

გელა. სტუმრების სიას მე შევადგენ, ძმაო...
ხუთასკაციანი ვგლიჯოთ!

მეფისტოფელი . ამდენ ხალხს სად ვნახავთ?

ნუგზარი . /მეფისტოფელს/ გავაჩენთ, შეჩემა, რა
მოგივიდა!

ქეთუშა . ნუგზარმა ჩემს ბავშვობაში მამოგზაუ-
რა... ბიჭვინთა, ფოთი, მალთაყვა, ბორჯომი, ახალ-
დაბა... ჩემი მშობლების ქორწილშიც ვიყავით. ის-
ტორიული საქართველოც მოვინახულეთ... დარჩი მე-
ფე გავიცანით. გადასარევი ადამიანი აღმოჩნდა.
ზრდილობიანი, კეთილი... თურმე, თბილისი სა-
ტახტო ქალაქად დარჩის გამოუცხადებია და არა -
ვახტანგს...

გელა. რომელ ვახტანგზე ამბობ?

ქეთუშა . გორგასალზე. დარჩის მამაზე.

ნუგზარი . ქეთუშა გიჟდება საქართველოს ისტო-
რიაზე... მეთქი, წავიდეთ!

ქეთუშა . რატომღაც მეხუთე-მეექვსე საუკუნის
საქართველომ მიმიზიდა. დარჩი მითხრა: ტფილისის
ზღუდენი განვასრულენ და ვახტანგის თხოვნისაებრ
სამეფუფეო სახლად ვაქციეთ...

მეფისტოფელი . ბრავო!

ნუგზარი . პირველი თბილისელი მეფე, ტო! ჭიგარი.

ქეთუშა . ნუგზარს თავისი მოსასხამი უსახსოვრა.
ნუგზარი . /მოსასხამს აფრიალებს/ ცუდია?
გელა . საკაიფოა, ნუგიჩი. ხალიჩასავითაა.
ქეთუშა . გაუჩინაგებიან მთელი ქართლი სპარსე-
ლებს. დაჩი თავს იკლავს, იმდენს შრომობს. მთელი
საქართველო უნდა გავაქრისტიანო!
მეფისტოფელი . ეჭვი მეპარება რომ მოახერხოს.
ნუგზარი . თარსებმა ოთახი დატოვეთ, რა!
გელა . სალოლ, ნუგიჩი, ეგრე უნდა!
ქეთუშა . ერთი სიტყვით, ძალიან ვისიამოვნეთ...
გელა . ამდენის ნახვა მაინც როდის მოასწარით?
ნუგზარი . მოვასწარით, რა!
მეფისტოფელი . სადაც ჯადოქრობაა, იქ დრო არ
არსებობს, გელა.
გელა . ამ პროფესორმა გამიტრაკა რა საქმე... დი-
დი ბოდიში, ქეთუშე.
ნუგზარი . /მეფისტოფელს/ პატარა სუფრა გავგი-
შაღე, ჩემი ძმა.
ქეთუშა . კარგით რა, ნუ შეწუხდებით...
ნუგზარი . რა იყო, ქეთუშე. ქათამი კი არ ყავს გასა-
ბუტი.
მეფისტოფელი . სალამანდრა, უნდინე, სილფე და
კობოლდ - სუფრა! /ტაშს შემოჰკრავს/

ზემოდან ოთხ კაცზე გაწყობილი სუფრა დაეშ-
ვება. მეფისტოფელი კვლავ სიმღერას შემოსცხებს:

...მრავალუამივეივეივერ!!!
ქეთუშა . ზღაპარში მგონია თავი!
ნუგზარი . ისიამოვნე, ქეთუშე!
ქეთუშა . /პირჯვარს გამოისახავს/ ღმერთო, შენი
სახელის ჭირიმე! /მეფისტოფელი დააცემინებს/

გელა . /მეფისტოფელს ზურგზე დაჰკრავს ხელს/
ჯანდაბა!
მეფისტოფელი . ქეთუშე, დამზოგეთ.
ნუგზარი . დაიკიდე, ქეთუშე. დავჯექით, ხალხო!

სუფრას მიუსხდებიან.

ქეთუშა . მე არა ვარ შენი ღირსი, ნუგზარ. უფრო
სწორად, იმის თქმა მინდოდა, რომ ამ ყველაფრის
ღირსი არა ვარ. ახლა ბევრ სისულელეს ვიტყვი...
ფეხებზე მკიდია! მეც დამისხი, გელა... მეც უნდა
დავლიო...

გელა . ეგრე, რა! /ღვინოს ჩამოუსხამს ქეთუშასა
და ნუგზარს/

მეფისტოფელი . /ჭიქას ხელს დააფარებს/ მე ნუ
დამისხამთ. დღეს მორიგე ვარ.

გელა . ხელი აიღე, ბიჭო!

მეფისტოფელი . გელა, გეხვეწებით...

გელატუტუცო შენა! ისიც გეყოფა ნუგიჩას რო
ლანძღავდი ხუთი წუთის წინ...

მეფისტოფელი . რატომ ტყუით? ცილს რატომ
მწამებთ!

გელა . ხო ჭოროვდი, ძმაო? ჭოროვდი.

ნუგზარი . მოიცა, მოიცა... /მეფისტოფელს/ მე
მჭოროვდი?

მეფისტოფელი . დიახ... გჭოროვდი! /ხმა აუკან-
კალდება/ დედებიც კი ჭოროვდნენ ხოლმე თავიანთ შვი-
ლებს... რა მოხდა ასეთი! მე მაქვს ამის უფლება...
ნუგზარ, არ დაგიმალავ, რადაცეებით უკმაყოფილო
ვარ... ყოველ შემთხვევაში, ჩემი, როგორც ეშმაკუ-
ლის სუბიექტური...

ნუგზარი . შენ ვინ ჩემი ფეხები ხარ, რო უკ-

მაყოფილო იყო?

ქეთუშა . ნუგზარ, დიდი ბოდიში, საპირფარეოში საითა?

ნუგზარი . /ქეთუშას/ დერეფანში რო გახვალ - ხელმარჯვნივ... /მეფისტოფელს/ შენ ვინ ჩემი ფეხები ხარ-მეთქი, გამეცი პასუხი!

ქეთუშა გადის.

მეფისტოფელი . მე ვინცა ვარ და რაცა ვარ...

ნუგზარი . ხმა, ბიჭო!

მეფისტოფელი . ლაპარაკის უფლებაც არა მაქვს, ნუგზარ?

ნუგზარი . იჭორავებ კიდევ ვინმესთან ჩემ შესახებ და, გეფიცები, შენი თავი ეპისკოპოსს თუ არ დაგაწვევლინო.

მეფისტოფელი . წყევლა-კრულვა არ მაკლია, ნუ ღელავ...

ნუგზარი . ხმა-მეთქი, ბიჭო! ნერვებს ნუ მიშლი.

მეფისტოფელი . მაპატიე, ნუგზარ.

ნუგზარი . მიდი, რა...

მეფისტოფელი . რას მერჩოდით, გელა?

გელა . /გოჭის ხორცს მიძენის/ ტრაკს ტრაკულად უნდა მოექცე.

ნუგზარი . ჭიგარი ხარ, გელუშ.

გელა . ტყეშელაშვილები თქვენს სამსახურში არიან, ბატონო ნუგზარ.

ქეთუშა ბრუნდება.

ქეთუშა . საკმარისია ერთი ჭიქა დავლიო და უპეშ საპირფარეოში ვარ...

ნუგზარი . ისიამოვნე, ქეთუშ... არ მოგერიდოს.

მეფისტოფელი . ნება მიბოძეთ, რალაც ვთქვა... /ჭიქას ღვინით აავსებს - წამოადგება/

გელა . აკი არ დავლევო?

მეფისტოფელი . არ დავლევ - უბრალოდ ვიტყვი.

ნუგზარი . ბიჭო, შენ ვინ დაგნიშნა აქ თამადათ?

მეფისტოფელი . მე ძალიან დიდ პატივს ვცემ თქვენს ტრადიციებს, თუმცა, ტრადიციათა დარღვევას არ ვერიდები... მესმის, ასეთი რამის თქმა არ შეიძლება - კანდიერებაში მეთვლება, მაგრამ რას ვიზამთ - სხვაგვარად არ შემიძლია!

გელა . მიდი ეხლა და ისმინე ვილაც გამოსირებული ეშმაკის სადღეგრძელო!

მეფისტოფელი . მე არც ეგრეთწოდებული სირი ვარ და არც ეშმაკი - ამწუთას... მე ამ ოჯახის ახლობელი და ჭირისუფალი გახლავართ. ჩვენ, ეშმაკები, ადამიანთა დაღუპვისათვის ვიღწვით და ეს საიდუმლოებას არ წარმოადგენს, მაგრამ მათ გარეშე, ფაქტია, ცხოვრება არ შეგვიძლია... ადამიანები რომ არ არსებობდნენ, ჩვენს არსებობასაც დაეკარგებოდა აზრი... ბანალური სიტყვებია, მაგრამ ცამდე... უფრო სწორად, ჯოჯოხეთამდე მართალი! ამიტომაც ბედნიერებას გისურვებთ, ჩემო ქეთევან და ჩემო ნუგზარ! დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, გამრავლებას და... დიდხანს სიცოცხლეს და ჯანმრთელობას... და გამრავლებასაც, ბარემ!

გელა . უკვე დააქორწინა კიდევ, ტო!

მეფისტოფელი . ეჭვი არ მეპარება, რომ ასე მოხდება... იხარეთ, იდღეგრძელებთ და იცოდეთ, რომ ჯოჯოხეთის კარი თქვენთვის ყოველთვის ღია იქნება... გეპატიჟებით მთელი გულითა და სულით!.. კარგი, ბატონო, თქვენი ხათრით დავლევ კიდევ!

/ღვინოს გადაჰკრავს/

გელა. მძლოლმა აურია აი!
ქეთუშა. ხალხო, ცოტა დრო მომეცით... დისერტაციის დაწერას ვაპირებდი... ნუგზარმა საერთოდ ამომადგო კალაპოტიდან...

გელა. ნუ ღელავ, ქეთუშ... მაგარი კაცის ცოლი ხდები!

ნუგზარი. */იცინის/* იცის, ბიჭო, უკვე ვუთხარი.

გელა. */ჭიქით ხელში წამოდგება/* ჩემი გული თქვენ გეკუთვნით, ჩემო ქეთევან და ჩემო ნუგზარ - ძმაო, ძმაცაცო, ძმაცაცზე მეტო, სისხლისმიერო ისაგ...

მეფისტოფელი. იფ! */დაასლოკინებს/*

ნუგზარი. რაღაც ძან მიაყარეთ სადღეგრძელოები.

გელა. ვერ ვითმენ, ნუგზარ... რთულია გაჩუმდეს, როცა კაცი ძალიან გიყვარს. ჩემი გულიც შენია-მეთქი, ამასწინათ ვამბობდი... უფრო სწორად, ამ რამდენიმე წამის წინ ვთქვი... ჩემი სულიც თქვენია... თქვენ გეკუთვნით.

მეფისტოფელი. */წამოდგება/* დიდი მადლობა.

გელა. */მეფისტოფელს/* შენ არ გეუბნები... */ნუგზარს/* რაც მე მაქვს, ყველაფერი თქვენია... როგორც ფიზიკური, ასევე მეორენაირი... დამავიწყდა რა ქვია...

მეფისტოფელი. ...მორალური!

გელა. ხო!.. ჩემი სასაფლაოც თქვენია, ქეთუშ! ჩემი მკვდრებიც! იმათი ჭირისუფლებიც!.. სეზონი არ არი... დავიღუბე... მაგრამ ნანას მაინც მივეცი ფული - ბავშვებს ბაკურიანში აიყვანს... ყველას ჭინაზე, ნუგზარ, ყველას ჭინაზე... ყველაფერი კარგად იქნება - სეზონიც გაიხსნება, ხალხიც დაიხოცება... თქვენც

კარგად იქნებით!.. გადღეგრძელებთ! იცოცხლებთ!..

/დაღვებს/

ნუგზარი. მადლობა, გელა.

გელა. ბარემ წასულებისაც ხომ არ დაგველია, ა?

მეფისტოფელი. */სიმღერას წამოიწყებს/* უუუუ-ფალო ღმერთოოოოო... რაად გამაჩინებე... მე ხომ სიცოცხლევევე... არ მითხოვი იიიიიი... თუ გამაჩინებე... კიდევ მარჩინებე... უბედურებაა-ას გადამარჩი იიიიი...

გელა. */ბანით შეეშველება მეფისტოფელს/* ჰაიიი...

ნუგზარი. ქეთუშ, ზევით აიხედე, ოქრო!

ზემოდან საქორწინო კაბა ეშვება.

ქეთუშა. ვაიმე, რა ლამაზია!

მეფისტოფელი. */დათვრა/* ქალბატონო ქეთევან, თქვენს ჩაცმულობაზე ზრუნავს ქვესკნელის სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში - თავადი ფონ ბელზებული...

ნუგზარი. */გელას გადაეხვევა/* გუგუნე გრძელდება, გელა... გრძელდება!

მეფისტოფელი კვლავ სიმღერას წამოიწყებს. სცენა ბნელდება.

ს უ რ ა თ ი მ ე ო თ ხ ე

იგივე ოთახი. სარემონტო სამუშაოები გრძელდება, თუმცა, მუშები არსად ჩანან. სპექტაკლის მსვლელობის განმავლობაში ნუგზარის პატარა ოთახი მდაბიურად მორთულ დარბაზად უნდა გადაკეთდეს. გელა, ნუგზარი.

/ღვინოს გადაჭკრავს/

გელა. მძლოლმა აურია აი!

ქეთუშა . ხალხო, ცოტა დრო მომეცით... დისერტაციის დაწერას ვაპირებდი... ნუგზარმა საერთოდ ამომადლო კალაპოტიდან...

გელა. ნუ ღელავ, ქეთუშ... მაგარი კაცის ცოლი ხდები!

ნუგზარი . /იცივის/ იცის, ბიჭო, უკვე ვუთხარი.

გელა. /ჭიქით ხელში წამოდგება/ ჩემი გული თქვენ გეკუთვნით, ჩემო ქეთევან და ჩემო ნუგზარ - ძმაო, ძმაკაცო, ძმაკაცზე მეტო, სისხლისმიერთისავ...

მეფისტოფელი . იფ! /დაასლოკინებს/

ნუგზარი. რაღაც ძაან მიაყარეთ სადღეგრძელოები.

გელა. ვერ ვითმენ, ნუგზარ... რთულია გაჩუმდე, როცა კაცი ძალიან გიყვარს. ჩემი გულიც შენია-მეთქი, ამასწინათ ვამბობდი... უფრო სწორად, ამ რამდენიმე წამის წინ ვთქვი... ჩემი სულიც თქვენია... თქვენ გეკუთვნით.

მეფისტოფელი . /წამოდგება/ დიდი მადლობა.

გელა. /მეფისტოფელს/ შენ არ გეუბნები... /ნუგზარს/ რაც მე მაქვს, ყველაფერი თქვენია... როგორც ფიზიკური, ასევე მეორენაირი... დამავიწყდა რა ქვია...

მეფისტოფელიმორალური!

გელა. ხო!.. ჩემი სასაფლაოც თქვენია, ქეთუშ! ჩემი მკვდრებიც! იმათი ჭირისუფლებიც!.. სეზონი არ არი... დავიღუბე... მაგრამ ნანას მაინც მივეცი ფული - ბავშვებს ბაკურიანში აიყვანს... ყველას ჭინაზე, ნუ გიჩ, ყველას ჭინაზე... ყველაფერი კარგად იქნება - სეზონიც გაიხსნება, ხალხიც დაიხოცება... თქვენც

კარგად იქნებით!.. გადღეგრძელებთ! იცოცხლებთ!..
/დაღეცვს/

ნუგზარი . მადლობა, გელუშ.

გელა. ბარემ წასულებისაც ხომ არ დაგველია, ა?

მეფისტოფელი . /სიმღერას წამოიწყებს/ უუუუ-ფალო ღმერთოოოო... რაად გამაჩინევევე... მე ხომ სიცოცხლევევე... არ მითხოვიდიიიიიიიი... თუ გამაჩინევევე... კიდევ მარჩინევევე... უბედურებაა-ას გადამარჩიიიიიიიი...
ნუგზარი . ქეთუშ, ზევით აიხედე, ოქრო!

გელა. /ბანით შეეშველება მეფისტოფელს/ ჰაიიი...

ნუგზარი . ქეთუშ, ზევით აიხედე, ოქრო!

ზემოდან საქორწინო კაბა ეშვება.

ქეთუშა . ვაიმე, რა ლამაზია!

მეფისტოფელი . /დათვრა/ ქალბატონო ქეთევან, თქვენს ჩაცმულობაზე ზრუნავს ქვესკნელის სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში - თავადი ფონ ბელზებული...

ნუგზარი . /გელას გადაეხვევა/ გუგუნი გრძელდება, გელუშ... გრძელდება!

მეფისტოფელი კვლავ სიმღერას წამოიწყებს. სცენა ბნელდება.

ს უ რ ა თ ი მ ე ო თ ხ ე

იგივე ოთახი. სარემონტო სამუშაოები გრძელდება, თუმცა, მუშები არსად ჩანან. სპექტაკლის მსვლელობის განმავლობაში ნუგზარის პატარა ოთახი მდაბიურად მორთულ დარბაზად უნდა გადაკეთდეს. გელა, ნუგზარი.

გელა. ...დიდი მადლობა, ნუგირ.
ნუგზარი. ვაკის სასაფლაოს უკანა შესასვლელთან თექვსმეტსართულიანი დგას. ისიც გიყიდე. მთლიანად. იქიდან გააკონტროლებ ვაკესაც და საბურთალოსაც, ცოტა გიჟურად კი ჟღერს, მაგრამ გიჟური იდეა ნამდვილად არ არის. წყნარი ადგილია. ყოველ სართულზე სამ-სამი ბინაა. ოფისებს გახსნი. ხალხს დაასაქმებ.
გელა. მანქანა, სახლი... ნუგირ, ნუ მათამამებ, ძმაო. ნანას გავშორდები.

სრულიად მოულოდნელად ნუგზარს ჩაეძინება.

ჩაეძინა, ტო? ხო არ მოკვდი ე! ორი წამის წინ მელაპარაკებოდი, ნუგირ.

შემოდის მეფისტოფელი.

მეფისტოფელი. ბატონი ისვენებს.

გელა. შენთვის - ბატონია, ჩემთვის - ნუგირა.

მეფისტოფელი. ნუგირა ისვენებს.

გელა. რო გაიღვიძებს - გადმომიჩეკოს. /ხელს ჩამოართმევს მეფისტოფელს/ გელა ტყვეშელაშვილი. ნახვამდის. /გადის/

ნუგზარი. /თვალს გაახელს/ წავიდა?

მეფისტოფელი. წავიდა.

ნუგზარი. დამალა. ყველამ ძალიან მაგრა დამალა.

მეფისტოფელი. ხუთასკაციანი ქორწილი, მერე სადღესასწაულო ნამცვეცობა... საქორწინო ღამე ორ მოცი წლის ქალთან! ადგილი ხომ არ არის!

ნუგზარი. რაღაც უცბად მომბეზრდა ყველაფე

რი... ჯერ კიდევ გუშინწინ მეგონა, რო ქეთუშა მიყვარს... მაგრამ დღეს დილით, რო შევხედე, ჩემ თავს ვუთხარი: ეს ქალი შენი ცოლია, ამიტომ უნდა შეიძულო... და, მეგონი, შემზიზღდა კიდევ. რატო მოხდა ასე?

მეფისტოფელი. იმიტომ რომ რეგიონალურმა ჯადომ იმოქმედა.

ნუგზარი. დაფხმძიმდება?

მეფისტოფელი. უეჭველად.

ნუგზარი. საიდან იცი?

მეფისტოფელი. ზეციურ საქართველოში თქვენი ქორწილის დღესვე შეადგინეს მისი ბიოგრაფია.

ნუგზარი. ვისი ბიოგრაფია?

მეფისტოფელი. ვლადიმერ ნუგზარის ძე გელაშვილის, ანუ თქვენი შვილის.

ნუგზარი. ესე იგი, ჩემი ძმა, იქ ყველაფერი წინასწარაა ცნობილი?

მეფისტოფელი. რა თქმა უნდა, ნუგზარ. რაღაც მხრივ, უკვე მისი სხეულიც კია ფორმირებული. ყოველ შემთხვევაში, თავი ნამდვილად მზადა აქვს. გინდა მისი ხმა გაგაგონო? არც ისეთი დიდი მანძილია დედამიწასა და მაკროკოსმოსს შორის. ეს ერთი სამყაროა, ნუგზარ. ვლადიმერ, გამოელაპარაკე მამაშენს!

ბავშვის ხმა ზეციური საქართველოდან. მამიკო, მე შენ მიყვარხარ.

ნუგზარი. /მეფისტოფელს/ ბარემ მომკალი კიდევ! რატო გამიტრაკე, ა!

ბავშვის ხმა ზეციური საქართველოდან. დედიკო არ გააბრაზო...

მეფისტოფელი. საკმარისია, ლადო, დიდი მადლობა.

ბავშვის ხმა ზეციური საქართველოდან. მე მალე

დავობადები. არსად არ წახვიდეთ. დამელოდეთ.

ნუგზარი . გავიცინეთ... მორჩა! გეყოთ ეხლა მამუნობა.

მეფისტოფელი . რითია ჰომუნკულუსზე ნაკლები!

ნუგზარი . ე, მძლოლი!

მეფისტოფელი . გისმენ, ბატონო.

ნუგზარი . გამართე.

მეფისტოფელი . ოპერა შენ არ გიყვარს... კლასიკურ მუსიკას შენ არ უსმენ.

ნუგზარი . მე ვერ ვიტან, საერთოდ, მუსიკას, მძლოლი... რამე სხვა შემომთავაზე.

მეფისტოფელი . იქნებ ფეხბურთი? 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონატი - არგენტინა, გერმანია... ფინალი.

ნუგზარი . ნანახი მაქ.

მეფისტოფელი . გოლს შენ თვითონ გაიტან. მთელ მსოფლიოში გაითქვამ სახელს. ამაზე უკეთესი რა უნდა იყოს!

ნუგზარი . მეზარება...

მეფისტოფელი . მაშინ, თქვენის ნებართვით, კვლავ სიამოვნებათა ქართულ მოდელს დავუბრუნდები.

ნუგზარი . დაიწყე!

მეფისტოფელი . საყვარელი უნდა გაიჩინო, ნუგზარ. ოღონდ, სერიოზული საყვარელი. ერთგვარი მეორე ცოლი, რომელთანაც, შესაძლოა, შვილებიც კი გაგიჩნდეს.

ნუგზარი . შვილები აღარ მინდა, მძლოლი, ერთიც მეყოფა... ლაღო ქვია, არა?

მეფისტოფელი . საყვარელი რომელიც მართლა გეყვარება, ნუგზარ... მთელი გულით...

ნუგზარი . ეხლა ეგ მაძებნინე კიდე!

მეფისტოფელი . მე თვითონ მოგიძებნი, შენ არ შეგაწუხებ.

ნუგზარი . ქეთუშას ვერ მოვატყუებ. თუმცა, მკილია. მართლა მკილია. ყველაფერი ფეხებზე მკილია, მძლოლი, რა მჭირს!

მეფისტოფელი . ჯაღო მოქმედებს, ნუგზარ, რით ველარ დაიმახსოვრე?

ნუგზარი . ჯაღოს დედაც მოვტყან... საქმეს მიხედე.

მეფისტოფელი . სახლის ყიდვა მოგვიწევს, ნუგზარ. ახალი ქალბატონი ახალ სახლში უნდა დავასახლოთ.

ნუგზარი . ქეთუშამ რო გაიგოს?

მეფისტოფელი . ხმას არ ამოიღებს...

ნუგზარი . აუ, მერე დაიწყებენ რეკვას და გააგოებენ საწყალ ქალს. მეზარება. არ მინდა.

მეფისტოფელი . კარგად დაფიქრდი, ნუგზარ.

ნუგზარი . /ღუმელის შემდეგ/ მე მკილია.

მეფისტოფელი . გასაგებია. ქალბატონს დღესვე მოგიძებნი. /გაღის/

ნუგზარი . შემჭამა, რა!

შემოდის ქეთუშა.

ქეთუშა . /ღიმელობით/ მე შეგჭამე, ნუგზარ?

ნუგზარი . სად იყავი, ქეთუშ?

ქეთუშა . დედაჩემთან ვიყავი. შენი საჩუქარი გადავიცი.

ნუგზარი . ხო მოეწონა?

ქეთუშა . ცოტა ბებერიაო.

ნუგზარი . გამოვუცვალო?

ქეთუშა . არა, კაცო, იყოს. რატო უნდა გამოუცვა-

ლო! არც დედაჩემია ახალგაზრდა.

ნუგზარი . რა ვიცი, მეც მომეწონა. ჭკვიანი კაცი ჩანს. თან სამამულო ომის ვეტერანია. მეორე მსოფლიოსი. ჯარისკაცია, რა! ეგენი უკვე ძალიან ცოტანი არიან და ამიტომაც გაგვიჭირდა მოძებნა, თორე შეიძლებოდა სხვანაირის ყიდვაც. მაგრამ ვეტერანებმა ქალების მოვლა მაგრა იციან, ქეთუშ! აგერ ნახავ დედაშენი კმაყოფილი დარჩება. სახლში ყავს კაცი ანტიკვარი. მეტი რა უნდა!

ქეთუშა . მე და დედაჩემს ტუზი დაგვეცა, ნუგზარ, შენი სახით. ამიტომაც კიდევ ერთხელ გიხდი დიდ მაღლობას.

ნუგზარი . დაიკიდე.

ქეთუშა . დარჩი მეფეს წერილი გაუგზავნე, რა თქმა უნდა, უწმინდურის დახმარებით, მე და ნუგზარი თქვენთან სტუმრობით ძალიან კმაყოფილები ვართ-მეთქი. /ცდილობს კალთაში ჩაუჯდეს ნუგზარს!

ნუგზარი . ქეთუშ, უკვე დიდები ვართ ასეთი რა ლაცებებისათვის.

ქეთუშა . ავდგე?

ნუგზარი . სანამ ფეხი დამიბუჟდება - იჩქე!

ქეთუშა . რატო ხარ ცუდ ხასიათზე?

ნუგზარი . მე სულ ასეთ ხასიათზე ვარ.

ქეთუშა . მერე რა ქვია ასეთ ხასიათს?

ნუგზარი . /გაიციინებს/ ცუდი.

ქეთუშა . ნუგზარ, ძალიან მინდა დოსტოვესკის ნახვა. ჩემი საყვარელი მწერალია.

ნუგზარი . ისევ დარჩისთან არ წამიყვანო და სადაც გინდა, იქ გამოგვგები. ტუალეტი არ ქონდათ მაგ შობელძაღვებს! კინალამ გავსკდი. მერე ქვევრში ჩავაფსი.

ქეთუშა . ნუ ხარ უმადური. გადაგვყავა კაცი, შენ კ

ლანძღავ...

ნუგზარი . კაი ტიპია, მაგრამ მაინც სირია.

ქეთუშა . დარჩი მეფე?

ნუგზარი . ფეხი დამიბუჟდა.

ქეთუშა . /წამოდგება/ გინდა დაგიზილო?

ნუგზარი . არ მინდა, ქეთუშ, მაღლობა.

ქეთუშა . სახლს მე არ მაღაგებინებთ, საჭმელს მე არ მაკეთებინებთ... რამე დამავალე, ნუგზარ!

ნუგზარი . იტირე.

ქეთუშა . უმიზეზოდ?

ნუგზარი . რატო - უმიზეზოდ! მე მალე გიღალატებ, ქეთუშ. საყვარელი მეყოლება, რომელსაც სახლს ვუყუდი და კვირაში ორჯერ-სამჯერ იქ დაგვრჩები. მე მეყვარება ის ქალი - ყოველ შემთხვევაში, მძლოლმა მითხრა ასე - მაგრამ შენც მეყვარები, ცუნ-ცულ. მამაკაცს შეუძლია, რომ ორი ქალი უყვარდეს. მე ბოზი კაცი ვარ, ქეთუშ. მაგრამ მართალი. ტუჟილს არასოდეს გეტყვი.

ქეთუშა . რატომ მეუბნები ამ ყველაფერს? ეხლა მართლა ვიტირებ, ნუგზარ.

ნუგზარი . იმიტომ გეუბნები, რომ მკიდია. ყველაფერი მკიდია. რეალობა არ არსებობს - ჭკვიანმა კაცმა თქვა. ჩვენ გარშემო სისულელეები ხდება. მე და შენ ზღაპარში ვცხოვრობთ. ისე ცუდად ვიყავი, რო თავის მოკვლა გადავწყვიტე, მაგრამ უწმინდური მოვიდა და რალაცეები შემომთავაზა. შენ გაჩნდი. დარჩი მეფეს ვესტუმრეთ. დედაშენს ქმარი ვუყიდე. გელას - თექვსმეტსართულიანი, ვაკის სასაფლაოსთან. მაგარ ძღნერში ვართ. ოღონდ, საკაიფო ძღნერში. არაფერი არ უნდა მიიტანო გულთან ახლოს, იმიტომ რომ ჩვენ გული არა გვაქვს, ქეთუშ. არც სული. ჩვენ გვძინავს. ეხლა იტირე!

ქეთუშა . ვინ არის ის ქალი?

ნუგზარი . ჯერ არ ვიცი.

ქეთუშა . მე შენ არ გაგშორდები, ნუგზარ. /ტირის/

ნუგზარი . მოდი აქ! /ქეთუშას მუხლებზე დაის-
ვამს/ შენ მე ბიჭი უნდა გამიჩინო, ქეთუშ. გინდა გა-
გახარო? ფეხმძიმედ ხარ.

ქეთუშა . საიდან იცი?

ნუგზარი . უწმინდურმა მითხრა. ბავშვს ლაღო ერქმევა.

ქეთუშა . ოჯახს ნუ დაანგრევ, ნუგზარ. ძალიან
გთხოვ.

ნუგზარი . რასაც მინდა, იმას ვიზამ. რეალობა არ
არსებობს. /კოცნის ქეთუშას/

ქეთუშა . ეხლა დაიწყებენ ტელეფონზე რეკვას-
ქმარი გლალატობთო. ტელეფონს, საერთოდ, გამოე-
რთავ. /ტირის/ ნუგზარ, მიყვარხარ.

ნუგზარი . მეც მიყვარდი... სკოლაში.

შემოდის მეფისტოფელი.

მეფისტოფელი . გამარჯობა, ქეთუშა. რატომ სტო-
რით, ძვირფასო?

ნუგზარი . ყველაფერი მოგუყვები და იმიტომ ტო-
რის. სიმართლემ აატირა. ტყუილი - ცოდვია.

მეფისტოფელი . რა ბოროტი ხარ, ნუგზარ! რამ
გათქმევინა ეს სისულელე... გული გაუხეთქე საწყალ
ქალს!

ნუგზარი . სხვის საქმეში ცხვირს ნუ ყოფ, ჩემი
ძმა, თორე წესიერ ხალხთა ხელით გაილახები. ბორო-
ტი, ჩათლახი და ცუდი ტიპი რო ვიყო, თავის მოწ-
ვლას არ გადავწყვეტდი. ქალი მომინახე?

მეფისტოფელი . უხერხულ მდგომარეობაში ნუ
მაგდებ, ნუგზარ.

ნუგზარი . ყველაფერი იცის-მეთქი. დამალვას აზ-
რი არა აქვს.

მეფისტოფელი . ნუგზარ, სასტიკი ადამიანი
ყოფილხარ.

ნუგზარი . ჩემი შენ გითხარიო-ს პონტია, არა?

მეფისტოფელი . მაპატიეთ, ქალბატონო ქეთევან...

ნუგზარი . ქალი მომინახე-მეთქი, ბიჭო?

ქეთუშა . ოღონდ, ბოზი ნუ იქნება და...

ნუგზარი . გაიგონე, მძლოლი, რა თქვა? მინიმუმ სა-
დოქტორო მაინც უნდა ქონდეს დაცული.

მეფისტოფელი . მსახიობია. მაგრამ უმუშევარი.
ერთ-ორ სპექტაკლში ითამაშა, თუმცა, ბევრს ვერა-
ფერს მიაღწია. ოცდაათი წლისაა. ტან-ფეხი - ნორმა-
ლური. განათხოვარია. შვილები არ ყავს. ყოფილი
ქმარიც მსახიობი იყო. სამოქალაქო ომის დროს დაი-
ღუბა. მთვარეულია.

ნუგზარი . საინტერესოა. სექსი შეიძლება მთვა-
რეულთან?

ქეთუშა . არ უნდა გააღვიძო, თორემ მოკვდება.
/ტირის/ ნუგზარ, მიყვარხარ. საზიზღარო, ჩემ თან-
დასწრებით მაინც ნუ ილაპარაკებ იმ ქალის შე-
სახებ...

ნუგზარი . დასამალი არაფერი მაქვს, ქეთუშ. /მე-
ფისტოფელს/ რა ქვია?

მეფისტოფელი . მანანა.

ნუგზარი . არ მომწონს. მაიკოს დავუძახებ. გამაცა-
ნი.

მეფისტოფელი . ხვალამდე არ გამოვა. დღეს ღამე
უნდა დაესიზმრო.

ნუგზარი . შუადღისას დააძინე, შერჩემა, რა მოგი-
ვიდა!

ქეთუშა . ამის მოთმენა შეუძლებელია, ნუგზარ...

ნუგზარი . გაუძელო, ქეთუშ. ღმერთი დაგაფასებს, გუგუნი გრძელდება. /გადის მეფისტოფელთან ერთად/
ქეთუშა . /ტირის/ თავს მოვიკლავ. ან დარი მეფეს ვთხოვ ჯარს.

ს უ რ ა თ ი მ ე ხ უ თ ე

ნუგზარი და გელა სიცილ-ხარხარით შემოდის ოთახში.

გელა. სიდედრს ქმარი უყიდვ, ნუგირი? ჯიგარი ხარ, პირველი ხარ. განსაკუთრებული ხარ.

ნუგზარი . მაიკო მოგეწონა?

გელა. მაიკო თუ მანანა?

ნუგზარი . მაიკო მე დავარქვი. ისე, მანანა ქვია.

გელა. ცოტა გამხდარია.

ნუგზარი . ერთი მსუქანი უკვე მყავს.

გელა. ცოდვები, იცოცხლე, ბევრი გვაქვს, არა?!

ნუგზარი . ეკლესიას ვაშენებ, ნაღდ ეკლესიას.

გელა. ვიცი მე შენი ეკლესია...

ნუგზარი . მართლა გეუბნები. კურთხევაც ავიღე რამე. დიდი ეკლესია იქნება. ხალხს ვჩუქნი.

გელა. ფული გაქ და ხარჯავ. ჭკვიანურია.

ნუგზარი . რალაცებები მინდა თბილისს გავუკეთო. მტკვარს ახალი ჭებირი ჭირდება, გელუშ. ძველი ძა ან ნაცრისფერია. ქალაქს არ უხდება.

გელა. ეკლესიას სად აშენებ?

ნუგზარი . ფუნთუხის ორზე.

გელა. /აქეთ-იქით დადის/ ქეთუშ!.. პირველი!.. ჯიგარო! ქალბატონო ქეთუშან! /ნუგზარს/ ცოლი სად არი, ბიჭო?

ნუგზარი . ნაწყენია. დედამისთან წავიდა. მთელი

ქალაქი ჩემზე ლაპარაკობსო.
გელა. მერე ეგ ცუდია? გამაგიჟებენ ეს ქალები. ზუსტად ნანასნაირია, რა. თუმცა, ამით იმის თქმა სულაც არ მინდა, რომ მე ვარ შენნაირი. /გაიცინებს/ ხო არ გეწყენა, ნუგირი!
ნუგზარი . /ასევე სიცილით/ ძალიან მეწყენა.

მიწა ორად გაიხსნება და ცეცხლის ენებს, ტრადიციისამებრ, მეფისტოფელი ამოჰყვება.

გელა. ამან მომკლა, რა! გამიხეთქა გული.

მეფისტოფელი . ნუგზარ, ისადილე?

გელა. /მეფისტოფელს პანდურს ამოარტყამს/ გამომივიდა ესეც მშობელი დედა! საქმეს მიხედვით, რა.

მეფისტოფელი. გელა, უკანასკნელ გაფრთხილებას გაძღვევთ: ნუ მეხებით, თორემ ინანებთ.

გელა. ჭერ არ დაბადებულა ისეთი მსაჯი, რომელიც გელა ტყვეშელაშვილს ყვითელი ბარათით შეაშინებს. ან, თუნდაც, წითელით. ნუგირ, თავი დაანებე ამ მართლა უხსენებელს და ჩემთან ჩამოდი - მიშიკო ხუთი წლის გახდა. ბავშვებს ნამცხვარი შეგუქამოთ. /მეფისტოფელს/ თარსო, გაქრო! /გადის/

მეფისტოფელი . ღმერთო!.. დიახ, მე სწორედ ღმერთს მივმართავ ამწუთას... ღმერთო, ეს კაცი მომასწორე და ცხვირს აღარ გამოვყოფ ჯოჯონეთიდან.

ნუგზარი . ქეთუშა სად არის?

მეფისტოფელი . ვღელავ, ნუგზარ, ვღელავ. რა-ღაც ისე არ ხდება, როგორც ჩვენ ჩავიფიქრეთ. არც ქეთუშაა დედამისთან და არც მანანა სახლში... უფრო სწორად, მაიკო.

ნუგზარი . ეხლა მაიკოსგან მოვდივარ. რეებს იგონებ? **მეფისტოფელი** . ფაქტი ჭიუტია. მაიკო სახლში არ

არის. მე მედიტაციური გზით შევადრწიე მის ბინაში.
ნუგზარი . იქ რა გინდოდა! უთვალთვალელებდი?
მეფისტოფელი . არა - აგნერგიულდი და ამიტომაც შეგვიღი.

ნუგზარი . რამ აგანერგიულა?
მეფისტოფელი . არც ქეთუშაა-მეთქი სახლში.
ნუგზარი . მერე რა. დაიკიდე.
მეფისტოფელი . ქეთუშა და მანანა... ანუ მაიკო და ქეთუშა ერთად არიან, ნუგზარ.
ნუგზარი . უკვე დამეგობრდნენ?
მეფისტოფელი . პირიქით. მგონი, ქეთუშა რაღაცას აპირებს.

ნუგზარი . რა უნდა დააპიროს? მაიკოს ეჭვიანობის ნიადაგზე მოკლავს? არ იკადრებს. შეეშინდება. იცის რო ვირთხათ გადავაქცევთ. მერე, საიდან გაიგებდა ქეთუშა მაიკოს მისამართს?

მეფისტოფელი . შენ თვითონ ეტყობი.
ნუგზარი . ხო... მართალია. დაიკიდე, რა.
მეფისტოფელი . მაინც არ მესმის, ვინ გექაჩება ხოლმე ენაზე!

ნუგზარი . მკითხა და...
მეფისტოფელი . სხვა მისამართი გეთქვა.
ნუგზარი . ტყუილი - ცოდვაა.
მეფისტოფელი . რა საშინელებაა, რომ მაინცდამაინც მე უნდა ავავსო ჭოჭოხეთი დებილეებით.

შეცრად დერეფნიდან ღმუილი გაისმება. აშკარაა: ღმუის ადამიანი. უფრო კონკრეტულად - ქალი.

ნუგზარი . გელუშა ღმუის, ტო?

ოთახში ქეთუშა და მაიკო შემოვლენ. უფრო სწო-

რად, შემოვა ქეთუშა, რომელიც გაკოჭილ მაიკოს შემოათრევს. მაიკოს პირიც აკრული აქვს.

მეფისტოფელი . დედა, ჩემი სიკვდილი!

ქეთუშა . წელზე ოქროსფერი ქამარი აქვს შემორტყმული, ხოლო ქამარზე ხმალი უკიდია. ქეთუშა სწორედ ამ ხმალს ამოიღებს ქარქაშიდან და რამდენჯერმე ღონივრად მოიქნევს/ დაჩი მეფის ხმლით გამოვჭრი ყელს, მე არ ვიყო ქეთინო ფურცხვანიძე!

მაიკო სრულ სასოწარკვეთილებაშია. ღმუის.

ნუგზარი . მეცინება, ქეთუშ! მაგრა მეცინება. თან მკიდია. მაიკო რა შუაშია! თუკი ჩემი მოკვლა გინდა, მე მომკალი. ხო იცი, აგერ მახატია სიცოცხლე. ჩვენ გვძინავს. ეს სიზმარია, ქეთუშ. ეს ყველაფერი სადაც ჩვენს გარეთ ხდება.

ქეთუშა . არ მომეკარო, ნუგზარ, ჩემო სიცოცხლე, თორემ მართლა მოგკლავ ამ ქალბატონს და მერე მეც თავს მოვიკლავ. ქართველი ქალი გაბრაზდა, ნუგზარ. თბილისელი ქალი წყობიდან გამოვიდა.

ნუგზარი . ეს ყველაფერი სინამდვილეში არ ხდება, ქეთუშ! ჩვენ ცხოვრებას ქვია: „ვითომ“. ვითომ ლალატი... ვითომ წყენა... ვითომ სიყვარული...

მეფისტოფელი . იდიოტობებს ნუ ლაპარაკობ, ნუგზარ! /ქეთუშას/ როგორ იქცევი! რეებს აკეთებ? დააგდე იარაღი... /ქეთუშა მეფისტოფელს ხმალს მოუღერებს/ უყურე ამას! ეხლა დავრეკავ სადაც საჭიროა და მერე ნახავ, რაც მოგივა... თავხედო შენა!

ქეთუშა . ეს დედამთილი მომაშორეთ, რა!

მეფისტოფელი . ვის ეძახი „დედამთილს“!

ნუგზარი . ჩვენ მოჯადოებულები ვართ, ქეთუშ!

ჩვენ გვძინავს, ჯიგარ. ჩვენზე ჯადო მოქმედებს.

ქეთუშა . მე არ მძინავს, ნუგზარ. დედაჩემს არ ძინავს. ჩემს მეგობრებს არ ძინავთ. მე მართლა გავთხოვდი... მართლა მქონდა ქორწილი. მე მართლა მიღალატა ქმარმა... ადამიანმა, რომელსაც ვენდე... რომელსაც დავარქვი: „ჩემი ნუგზარი.“ არა უბრალოდ ნუგზარი, არამედ „ჩემი“!.. მან კი მიღალატა. ვმელოას თვალწინ. ჩვენთან ასე არ იქცევიან. ვითმინე, ვყლაპე, მაგრამ ბოლოს მოთმინების ფილა ამეფსო და... მგონი, გავრეკე კიდევ! მე გავგიჟდი, ნუგზარ... /გაკოჭილ მაიკოს/ შენ ხო მსახიობი ხარ?.. ხოდა წაიკითხე მონოლოგი... იტირე! ითამაშე! ვითომ თეატრში ხარ... მე ასე მინდა! ქეთუშას ასე უნდა!.. /ხმალს მაიკოს თავთან აღმართავს/ ითამაშე, თორემ წაგაცლი ამ თავს!.. იტირე... მონოლოგი თქვი... მაგალითად, ოტელოს მონოლოგი!.. ან რამე ეროვნული... მაგალითად, „დარისპანის გასაჭირიდან“...

ნუგზარი . /მეფისტოფელს/ ეს სირობა შენი მოწყობილია, ეხლა როგორც გინდა, ისე დაალაგე...

მეფისტოფელი . ფსიქიატრიულში დავრეკავ...

ქეთუშა . სცენაზე გამოდის მაიკო... რა გვარი ხარ?.. ვთქვათ, ცინციბაძე. დარბაზში ზის ქეთევან ფურცხვანიძე. გისმენთ! /ხმალს მოუღერებს მაიკოს/ მონოლოგი!

მაიკო ღმუის.

ნუგზარი . ქეთუშ, თავი დაანებე მაიკოს!.. თუ მინანას, რა ვიცი... ეგვეც მოჯადოებულია! ეს ჩემი პონტია, ქეთუშ... /ავრესიულად/ მე ჩემი პონტები მაქვს, ქეთუშ!

ქეთუშა . მე შენ მიყვარხარ, ნუგზარი მე მინდა.

რომ ჩემთან იყო. მთელი ცხოვრება. მე მინდა, რომ გვქონდეს ნორმალური ოჯახი. ნორმალური ქართული ოჯახი. გვყავდეს ორი შვილი. გოგო და ბიჭი. თა-მუნა და ლადო. ბავშვები ინგლისურზე დადიოდნენ. მე და შენ ვმუშაობდით. მაინცდამაინც ვილაც უნდა მოგვკლა, რომ ეს ოცნება რეალობად იქცეს!.. კი ბატონო, შეეწიროს ამ საქმეს მაიკო... ცინციბაძე.

მაიკო ღმუის. ეს საპროტესტო ღმუილია.

მეფისტოფელი . მისი გვარია - დემურაძე. ქვია - მანანა. ქეთევან, თქვენ ვილაც სხვა ადამიანზე ლაპარაკობთ.

ქეთუშა . რა დავაშავე ასეთი, რომ ერთი ნორმალური დედამთილი მაინც ვერ დავიმსახურე! რატომ უნდა მეჭედეს სახლში ეშმაკი!

ნუგზარი . ქეთუშ, მომეცი ხმალი... დაიკიდე ყველაფერი. მე ეკლესიას ვაშენებ. წამოდი, ავიდეთ ფუნელიორზე და ერთად ვილოცოთ. გაიღვიძე, ქეთუშ... ცუნცულ, სკოლაში გაგვიანდება!

ქეთუშა . /ხმალს იქნევს/ ძელზე უნდა შეესვი დაჩი მეფეს! ძალიან ცუდი ვინმე ყოფილხარ, ნუგზარ... დამპალი და საზიზღარი...

მეფისტოფელი . ნუგზარ, დაიხარე!.. ქეთინო, ხმალს ნუიქნევ.

ნუგზარი . /ღრიალებს/ მომკალი... ბარემ მეც მომკალი! ისედაც კისრამდე ძღნერში ვარ.

მაიკო ღმუის. ქეთუშა ხმალს ძირს დააგდებს. თვითონაც მიწაზე დაემხო.

ქეთუშა . /ქვითინით/ ქეთუშა მოკვდა... ქეთუშა

აღარ არის! ასეთი ადამიანი აღარ არსებობს...
ნუგზარი . თავი დამანებეთ!.. მე მივდივარ. ჩათ-
ლახი ვარ და ამიტომაც მივდივარ. ნუგზარიც მოკ-
ვლა. /გადის სცენიდან/

ქეთუშა . /ხმამალალი ქვითინით/ ნუგზარ, სად
მიდიხარ?..

მეფისტოფელი . გააგიჟეს კაცი! გააგიჟეს კაცი ამ
ქათმებმა.

ქეთუშა გულამომჭდარი ქვითინებს. მაიკო ღმუის.
სცენა ბნელდება.

ს უ რ ა თ ი მ ე ე ქ ვ ს ე

დეკორაცია მკვეთრად იცვლება: მეთვრემეტე სა-
უკუნის ოთხმოციანი წლები. საფრანგეთის მეფის -
ლუი მეთექვსმეტეს კარი. ერთ-ერთი დარბაზი
/ვთქვათ/ ვერსალის სასახლეში. რევოლუციამდე ჯერ
კიდევ დიდი დროა. ნუგზარი ორ „როკოკო-
ქალბატონს“ შორის ზის. ნუგზარსა და ქალბატო-
ნებს ერთმანეთის არაფერი ესმით. ნუგზარი მთვრა-
ლია.

ნუგზარი . რატო გეშინიათ ჩემი? რატომ ასეთი
თვალეები, ჩემი გოგო! რომელი მკვლეელი და ჩათ-
ლახი მე მნახეთ... თბილისში ეკლესიას ვაშენებ. ფუ-
ნიკულიორზე. თბილისი. საქართველო. ჯორჯია. კაუ-
კაზუს. პირველად გესმით, არა!.. დამტანჯეს ჩემებმა
და თქვენთან გამოვიქეცი... მეთქი - ვიფელის კოშკს
მანც ვნახავ, მაგრამ ვიფელი კი არა - აერობორტიც
არ გქონიათ, თქვეჩემა!.. /ნაღვლიანი პაუზა/ მინეტი
მართლა თქვენი მოგონილია?.. იეს? ნოუ?.. /ერთ-
ერთს/ მუნჯი ხარ, ქალო!.. ეხლა ავდგები და გადავ-

ფრინდები შტატებში - კაი ფილმებს მაინც ვნახავ...
ისე, ყველაფერი მაგრა მკიდა. თან მაგრა ცუდად
ვარ. ეშმაკს სული მივყიდე. მერე გამოსირებული ქა-
ლი მოვიყვანე სახლში... გოგონი, ღმერთი ხო არ-
სებობს?.. არსებობს. ხუთიანი. ყოჩად. „კოკა-კოლა“
დაგილევია?.. ანუელიკას იცნობ?.. სადმე მინდა წას-
ვლა... გაქცევა მინდა... დამალვა... წესიერი ხალხი
მინდა, რომ გავიცნო... ბოზებს ვერ ვიტან!

უეცრად მიწა ორად გაიყოფა და ცეცხლის ენებს,
როგორც ყოველთვის, მეფისტოფელი ამოყვება.
ქალბატონები აკივლდებიან და დარბაზს დატო-
ვებენ.

მეფისტოფელი . მოვედი, ჩემო სიცოცხლე!

ნუგზარი . ნუ გამიტრაკე რა საქმე!

მეფისტოფელი . ათი წელიწადიც და ხალხი ბას-
ტილიის ციხე-სიმაგრეს აიღებს. ნუგზარ, რა გინდა ამ
დაქცეულ ქვეყანაში! ერთადერთი დედოფალი
ჰყავთ ნორმალური და იმასაც მალე თავს მოჰკვე-
თენ!.. თან ფრანგი არ გეგონოს - ავსტრიელია!.. ნუგ-
ზარ, არ გეწყინოს, მაგრამ არანაირი კულტურა არ
გაგაჩნია დროში მოგზაურობისა...

ნუგზარი . /ხრინწიანი ხმით მღერის/ ჩემოლო კარ-
გოლო ქვეყანაა... ბიჭო, ნაპოლეონის დედა მარ-
თლა ქართველი იყო?

მეფისტოფელი . ნუგზარ, საქართველოში უნდა
დავბრუნდეთ.

ნუგზარიპეტრე პირველი ნაღდად ქართვე-
ლების ნაბიჭვარი იყო. ზუსტად ვიცი. არ გჯერა? წა-
მო, გადავფრინდეთ.

მეფისტოფელი . ვერ გაიგე, რა გითხარი?

ნუგზარი . შეჩემა, ეს-ესაა ჩამოვედი და უკვე უკან უნდა დაგბრუნდე? სუ შენ დავალებებს ვასრულებ... რომელია ბატონი - მე თუ შენ!

მეფისტოფელი . ქეთუშა ციხეში ჩასვეს. მაგრამ, ალბათ, ფსიქიატრიულში გადაიყვანენ. მაიკო დაჭრა და მერე ჭკუიდან შეიშალა. უფრო სწორად, ჭერ ჭკუიდან შეიშალა და მაიკო მერე დაჭრა. კინაღამ მოკლა. მართლა გაგიჟდა.

ნუგზარი . დაიგინე!

მეფისტოფელი . /შიხედ-მოიხედავს, მორცხვად/ მეძავის გაზრდილი ვიყო.

ნუგზარი . ბარემ დამაჯვით თავზე, თქვენი დედა გატირე. ქეთუშამ გააფრინა, ტო?..

მეფისტოფელი . რას ვიზამთ, ყველაფერი ხდება!

ნუგზარი . მაიკო ხო არ მოკვდება?... ისე, ასეც მკობდა და ისეც.

მეფისტოფელი . ნუ გეშინია, მაიკო გადარჩება. ბრაქტიკულად, გადარჩენილიცაა. ხვალ რეანიმაციიდან პალატაში გადაიყვანენ.

ნუგზარი . რატო დამლუბე?

მეფისტოფელი . მე რა შუაში ვარ!

ნუგზარი . ქეთუშა მეცოდება... გიჟის მორჩენა არ შეგიძლია?

მეფისტოფელი . მაპატიე, ნუგზარ, მაგრამ არ შემიძლია.

ნუგზარი . მკვდრის გაცოცხლება შენ არ შეგიძლია... არც გიჟის ჭკუაზე მოყვანა... ნაღდი სირი ხარ, რა! რატო არ დებს ღმერთი ხელშეკრულებებს!.. მე-ლანი ენანება?..

მეფისტოფელი . ნუგზარ, წამოდი ქეთუშასთან...

ნუგზარი . /ღრიალით/ თვალეში როგორ შევხედო, ბიჭო!

მეფისტოფელი . წამოდექი, ჩემი ჭკვიანი ბიჭი. ნუ ხარ ზანტი. დანტონისა და მირაბოს გაცნობას მერეც მოასწრებ.

ნუგზარი . /კედელს მუშტს ურტყამს/ ქეთუშა... ქეთუშა... გუგუნი დამთავრდა...

მეფისტოფელი ხელს ჩაავლებს ნუგზარს და მასთან ერთად მიწის ქვეშ გაუჩინარდება.

ს უ რ ა თ ი მ ე შ ე ი დ ე

ციხის საკანი. ქეთუშა რკინის საწოლზეა მიწოლილი. ისმის კარის ჭრიალის ხმა. საკანში ნუგზარი შემოდის.

ქეთუშა . /გაიღვიძებს/ მე ქეთუშა ვარ. გამარჯობათ.

ნუგზარი . /მუხლებზე დაემხობა - კი არ ლაპარაკობს, ხრიალებს/ ქეთუშა, მე ვარ, ნუგზარი... ნუგზარი ვარ, ქეთუშა... ნუგზარ გელაშვილი ვარ, ქეთუშა... შენი ნუგზარი ვარ, ქეთი...

ქეთუშა . /ჩურჩულით/ ნუ ღრიალებ. ბრმა არა ვარ. ვხედავ რო ნუგზარი ხარ.

ნუგზარი . /კვლავ ხრიალით/ მაპატიე, ქეთუშა... ჩემი თავიც დავიღუბე და შენც დაგლუბე, ჩემო სიცოცხლე, ჩემო ერთადერთო... პირველო სიყვარულო... პირველო ქალო, საერთოდ, დედამიწის ზურგზე... უპირველესო გოგონავ! ლამაზო, ნაღდო... ჩემო! პირველ რიგში - ჩემო!.. მაგარი კუთუსავით გცხოვრობდი და თავის მოკვლა გადავწყვიტე, მაგრამ გამომეცხადა ის ჩათლახი და სული მომთხოვა... მეც ვიფიქრე, ბარემ მიეყიდი, ისედაც თავს ვიკლაგდი, გავერთობი მაინც-მეთქი, ქეთუშა... გავერთობი-

მეთქი, ტო, ლამაზო, ცუნცულავ ჩემო!..
გამოვიდა გართობა!.. ქალო, ცოლო, დაო არ
დედავ!.. მიყვარდი, მიყვარხარ და მიყვარები!.. ფუ
ლით ავავსებ ამ ციხეს! ყველაფერს ვიყიდი, ქე
თუშ... აქედან დაგიხსნი! ეგეთი რალაცეები უკვე
ალარ მკილია... რატო გაგიყვდი, ქეთუშ?.. ქეთუშკები,
რატო გააფრინე! გაბრაზება რატო არ იკმარე, გო
გო!.. ექიმებს ყურით ჩამოვათრევ გერმანიიდან!.. ჩე
მი ხელით გაგიკეთებ ნემსებს! რატო აუშვი აფრები!
რატო გარეკე, ქეთუშ!.. /ღრიალებს/ რატო!

ქეთუშა . დაწყნარდი, ნუგზარ... როგორ იქცევი!

ნუგზარი . ეკლესიას ვაშენებ, ქეთუშ... წამო, ფუ
ნიკულიორზე ავიდეთ... ძაღლები უწმინდურმა და
ძინა, კაციშვილი ვერ დაგვინახავს... გავიპაროთ, ქე
თუშ...

ქეთუშა . არ შემიძლია. კანონს ვერ დავარღვევ.
ნუგზარ.

ნუგზარი . აი აქ მახატია ამათი კანონები... შენ არა
ხარ დამნაშავე! დამნაშავე მე ვარ... გიყვიც მე ვარ! მე
დავწვები ფსიქიატრიულში... ეკლესიას ავაშენებ და
დავწვები... თენდება, ქეთუშ! ქათამმა დაიყვილა...
გავიქცეთ, ლამაზო!..

ქეთუშა . ნუგზარ, საჭმელი მაქვს გასაკეთებელი.
ვერ წამოვალ. გასარეცხიც ბევრი დამიგროვდა. ძა
ლიან გაქო რუსულის მასწავლებელმა... ნუგზარ,
ამოდი, იმაცადინე!.. შვილო, ხუთი წუთი ბევრი გგო
ნია?

ნუგზარი . ქეთუშ... ჩიგარო... ლამაზო... ცუნცუ
ლა... მართლა გიყვი ხარ, ტო?

ქეთუშა . მაიკოს კინალამ თავი წავაცალე. მაიკო
ცუდია. ქეთინო - კარგი. /ტირის/ დედაჩემს იმ
ბებერმა კაცმა შეურაცხყოფა მიაყენა. ისეთი რომ...

ვერც ვიტყვი! ნუგზარ, გიყვი გგონივარ? მე არა ვარ
გიყვი. მე უტვინო ვარ. მე ტვინი აღარ მაქვს. ტვინი
ამომიფრინდა. უფრო სწორად, ყურებიდან გადმომი
ვიდა. ამიდულდა და გადმომივიდა. ფაფასავით. გი
ლოცავ, ნუგზარ! მე წმინდანად შემრაცხა რომის პაპ
მა. ამ დროს, სჯულით მართლმადიდებელი ვარ... რა
ღაც შეცდომა მოხდა, ნუგზარ. ჩემი მოხსენიების
დღეა - 8 მარტი. ახალი სტილით.

ნუგზარი . /გაოგნებული უყურებს ქეთუშას/ ნე
ტავ დედაჩემს მუცელშივე გავწალებოდი...

ქეთუშა . ნუგზარ, ახლა ისევ ნორმალური ვარ...
ზოგჯერ ჭკუაზე მოგდივარ ხოლმე, მაგრამ მალევე
ვკრეტინდები... დედაჩემს მოუარე, ნუგზარ!.. მაიკოს
ბოდიში მოუხადე... ვაიმე! მგონი, ვგიჟდები... ცო
ტაც და... /უცნაურად იღიმება/ იმეცადინე, დედიკო?
ჩემო სიხარული, ჩემო ბეჭითო ბიჭო... შენც ხუთია
ნი, მეც ხუთიანი... გელაშვილი - დაფასთან!

ნუგზარი . ისედაც სულ დაფასთან ვდგავარ, ქე
თუშ. ცხოვრება - ერთი დიდი საზიზღარი გამოცდაა.

ქეთუშა . ისევ ჭკუაზე მოგვდი, ნუგზარ!.. ხან გიყვი
ვარ, ხან ნორმალური. მომარჩინე, ნუგზარ!.. არ მო
მარჩინო, ძვირფასო! შენი ფული მე არ მჭირდება!
მერე დამაყვედრი... ბარემ სიას ჩავიკითხავ: ამაშუ
კელი ირინე, აფხაზავა მანანა, ახალაძე ვასილ, ბერა
ძე თინათინ, ბუაძე ხათუნა...

ნუგზარი . ლაღოს რა გუყოთ, ქეთუშ! შენ ჩემ
შვილზე ხარ ფეხმძიმედი...

ქეთუშა . მუცელი უნდა მოვიშალო - ცუდი მამა
არ იმსახურებს კარგ შვილს... თუმცა, მკვლელობა -
ცოდებაა. მე კი წმინდანი ვარ. რას იტყვიან ვატიკან
ში! იცოცხლოს, იყოს, მე მომიაროს...

ბავშვის ხმა ზეციური საქართველოდან. დიდი

მადლობა, დედიკო!

ნუგზარი . ჩემი სურვილია, რომ მეძინოს და გამეღვიძოს! მე მინდა, რომ ეს სიზმარი იყოს... გრძელი და საზიზღარი სიზმარი... მაგრამ მაინც სიზმარი...

საკანში მეფისტოფელი შემობრბის.

მეფისტოფელი . ნუგზარ, იჩქარეთ!.. ჩემი რაშები კრთიან და ცახცახებენ, რაკილა უკვე ალიონის დაღვრას გრძნობენ...

ნუგზარი . /ღრიალით/ შეჩემა, ტაქსი მაინც გამოგებახა!

ქეთუშა . /მეფისტოფელს/ გაქრი... გაქრი, უწმინდურო! არ მომეკარო...

ნუგზარი . ნუ გეშინია, ქეთუშა!.. /მეფისტოფელს/ რატო დავგლუბე, შენი დედა მოვტყან, რას გვერჩოდ!

მეფისტოფელი . უყურე ამას, რეებს ბედავს! უზრდელი ეს... თავხედი!.. ტყეში გაიზარდე, ხო?

ნუგზარი . /კვლავ ღრიალით/ ტყის პირას, ბაგებში!

ქეთუშა . მე ჩემს თავს ვანდობ ღვთის სამსჯავროს და ღმერთს, ჩვენს გამჩენს!

მეფისტოფელი . იჩქარე, ნუგზარ, თორემ მასთან ერთად შენც აქ დაგტოვებ!

ნუგზარი . არაფერი არ მომწონს! ძალიან ცუდად ვარ! მაგარი უკმაყოფილო ვარ...

მეფისტოფელი . შენ ფანტაზია არ გქონდეს, ჩემი რა ბრალია, წესიერი სურვილი ვერ მოგიგონებია.

ნუგზარი . ფანტაზია რა შუაშია, შე მართლა ძღწერი!.. ნორმალური ცხოვრება მინდოდა... რატო არ იქვე ვმალაფერი!.. რატო გააგიჟე ქეთუშა!

მეფისტოფელი . ჭერ სარკეში ჩაიხედე და საყვე

დურები მერე მითხარი!

ნუგზარი . გამაღვიძეთ!..

ქეთუშა . ღმერთო, შენი ვარ, შენ დამფარე ღვთიური ნებით! გარს შემომერტყით, ანგელოზნო, და თქვენი ფრთებით დაჭფარეთ ის, რაც დასაღუბად განწირულია. ნუგზარ, შენი რად მეშინია?

მეფისტოფელი . დაღუბულია!

ბავშვის ხმა ზეციური საქართველოდან . განკითხულია!

მეფისტოფელი . ნუგზარ, მომყევი!

ქრება ნუგზართან ერთად.

ქეთუშა . /ოდნავ გასავიწყობს ხმით/ ნუგზარ! ნუგზარ!

ს უ რ ა თ ი მ ე რ ვ ე

ნუგზარის ოთახი. ნუგზარი მარტოა. ფანჯარასთან დგას და სივარეტს ეწევა. შემოდის გელა. შავები ჩაუცვამს, ხელში ფსკვნილი უჭირავს.

ნუგზარი . შემოდი, გელუშ!

გელა . გამარჯობა, ნუგზარ. /შხარზე აკოცებს ნუგზარს/

ნუგზარი . ლოყაზე აღარ მკოცნი? აღარ მოგწონვარ?

გელა . როგორა ხარ, ნუგზარ?

ნუგზარი . ცუდად.

გელა . ცუდად უნდა იყო. ადამიანი ხარ.

ნუგზარი . ჭიგარი ხარ, გელუშ.

გელა . მხევალი ღვთისა ქეთევანი როგორ გრძნობს თავს?

ნუგზარი . ქალების კოლონიაში უბირებდნენ გა-
დაყვანას, მაგრამ ფული ჩავყარე და იმ ჩათლახებს
კლანჭებიდან გამოვგლიჯე... ეხლა მოსკოვში გავუშ-
ვი. გამოშტერებულ დედამისთან ერთად. იქ კარგი
ექიმები ყავთ. უშველიან. მოკლედ, ძველი დრო
დაბრუნდა, რა... მოსკოვი, რამე... შენ რაღა გჭირს,
შეჩემა, რეები ჩაგიცვამს! სუ გამოსირდი? ნანა ხო არ
მოგიკვდა, ბიჭო, რა ამბავია ამდენი შავი!

გელა. ღმერთმა დამიფაროს!

ნუგზარი . გელა-ჯან, რაღაც არ მომწონხარ! სხვანა-
ირად ლაპარაკობ. რა მოგივიდა?

გელა. თქვენს მეთესართულიანი გავყიდე, ნუგზარ...
საერთოდ, ყველაფერი გავყიდე და ფული მათხო-
რებს დავურიგე. ნანასაც გავშორდი. მონასტერში
მივდივარ.

ნუგზარი . გამეცინა. ყოჩად. ეხლა სერიოზულად
გამეცი პასუხი.

გელა. მე ძველი გელა აღარ ვარ, ნუგზარ.
ჩერჩერობით, ზუსტად მე თვითონაც ვერ გამიგია, რა
მომივიდა, მაგრამ რაღაც მნიშვნელოვანი, რომ მომი-
ვიდა - ფაქტია. გამომყვევი, ნუგზარ, მონასტერში.

ნუგზარი . ნერვებს ნუ მიშლი, გელა... იყავი
ისეთი, როგორც მე მიყვარხარ... ამ ბოლო დროს
ცოტა დავმშვიდდი და ნერვებს ნუ ამიწეწავ... სად
მებატიყები! რეებს ბოდილობ! რატო მაიმუნობ
ეხლა! ვინც შენ მონასტერში შეგიშვას, იმის...

გელა. /ყურებზე ხელებს აიფარებს/ იყურე, ბალ-
ლო! ღმერთს ნუ სცოდავ!

ნუგზარი . სასაცილო ხარ, გელა... არ მჯერა, რომ
მართლა ეგეთი ხარ... თუმცა, მკიდი... არავინ აღარ
მჭირდებით... მე უკვე ვიცი, რასაც ვიზამ...

გელა. შენი ხსნა - მონასტერშია. იქ გიშველიან.

დამიჯერე. აღადგინე ის ტაძარი, რომელსაც შენი
სხეული ჰქვია. სად არის შენი სული? ვის მიეცი? ვის
მიჰყიდე? ეკლესიას ფუნქციონორზე აშენებ, ეშმაკ-
თან კი გარიგება გაქვს დადებული... გრცხვენოდეს,
ნუგზარ!

შემოდის მეფისტოფელი

ნუგზარი . მძლოლიც მოვიდა!

გელა. /მეფისტოფელის დანახვაზე პირველად გა-
მოსახავს/ შორს, შორს ჩემგან, სატანავ!.. განვედ...
განვედ!.. გონს მოდი, ნუგზარ!.. ხმა არ გასცე ამ
ჯოჯოს!.. /სირბილით ტოვებს სცენას/

მეფისტოფელი . ჯაღომ ამ სუბიექტზეც მშვენიერ-
რად იმოქმედა.

ნუგზარი . რა დაემართა ამ ჩემისას? მძლოლი, შენ
მაინც ამიხსენი.

მეფისტოფელი . სხვანაირად ვერ მოვიშორებდი,
მაბატიე...

ნუგზარი . შენ უქენი რამე?

მეფისტოფელი . ჰეშმარიტების მაძიებელ მორ-
წმუნედ ვაქციე. ამიერიდან ზედაც აღარ შე-
მომხედავს და მეც დავისვენებ. ხო ნახე, როგორც კი
შემოვედი, მაშინვე მოკურცხლა.

ნუგზარი . დიდი ტრაკი ვინმე ხარ, მძლოლი...

მეფისტოფელი . ვიცი. გმადლობთ.

ნუგზარი . ერთადერთი ძმაცაი მყავდა და ისიც
წამართვი...

მეფისტოფელი . ისეც ცუდ ხასიათზე ხარ?

ნუგზარი . არ ვიცი.

მეფისტოფელი . მაიკო ვნახე. შენგან მოკითხვა გა-
დავეცი. დამირეკოსო.

ნუგზარი . მკილია.
მეფისტოფელი . ცხვირს ნუ ჩამოუშვებ, ნუგზარი!
ცხოვრება გრძელდება...

ნუგზარი . ცხოვრება წრეზე ბრუნავს, მძლოლი...
მეფისტოფელი . ნუ ფილოსოფოსობ! რამე ისურ-
ვე... როგორც ყოველთვის, მე შენს განკარგულებაში
ვარ.

ნუგზარი . მომბეზრდა ეს სირული ერთფეროვ-
ნება! მაგარი უკმაყოფილო ვარ, მძლოლი... ჩემი ნება
რო იყოს, სამსახურიდან გაგაგდებდი. ოთხმოცდა-
ცხრამეტი წლით კი არა - შენთან ერთი კვირით უნ-
და დამედო ხელშეკრულება. გოიმი ვარ. ვიფიქრე,
გავერთობი. ამ დროს, პირიქით, მაგრა დავილაღე.

მეფისტოფელი . ჭერ კიდევ დიდი დროა... რა
დროს დალლას! მომავალში უმნიშვნელოვანესი სფერო
გვაქვს ასათვისებელი. ვგულისხმობ პოლიტიკას!
შენგან მშვენიერი მაჟორიტარი დეპუტატი დად-
გება... ან, კიდევ უკეთესი, გუბერნატორი... პრეზი-
დენტი... მეფე... იმპერატორი...

ნუგზარი . მე შენ გაგექცევი, მძლოლი... აგერ
ნახავ. უკვე მოვიფიქრე გაქცევის გეგმა.

მეფისტოფელი . წიგნები უნდა იკითხო, ნუგზარი,
წიგნები... ცოტა ჭკუა მოგემატება.

ნუგზარი . ცხონებულ დედაჩემს მაგონებ... ცხოვ-
რება - წიგნია, მძლოლი... ნახვამდის. უფრო ზუსტად
- მშვიდობით.

მეფისტოფელი . რატომ მემშვიდობებები?

ნუგზარი . იმიტომ რომ ვიპარები... შენ გეთესები.
ღმერთი - კეთილია. ღმერთი ყველაფერს მაპატიებს.
ეკლესიას ტყუილა კი არ გაშენებ, ბიჭო! ღმერთმა
მკვლელებს და ბოზებს აპატიო და მე არ გამიგებს!
რატომ იღიმები? შენც გააფრინე?

მეფისტოფელი . გინდა კვერცხი შეგიწვა? ყოველ-
გვარი ჯადოქრობის გარეშე...

ნუგზარი . სიტყვას ბანზე მიგდებ, მძლოლი?

მეფისტოფელი . შენ მე ვერსად გამექცევი, ნუგ-
ზარი. შენ ჩემი უძრავ-მოძრავი ქონება ხარ. შენ მე მე-
კუთვნი. მორჩა და გათავდა. სულ რაღაც ერთი წელი
გავიდა მას შემდეგ, რაც მე და შენ ხელშეკრულება
დავდეთ. ანუ კიდევ ოთხმოცდათვრამეტი წელიწადი
გაქვს დარჩენილი. რა დროს სიკვდილია! იმხიარუ-
დე, ნუგზარი, გაერთე... ეგზისტენციალისტი კამიუც
კი არ ყოფილა შენნაირი პესიმისტი, - გრცხვენოდეს!

ნუგზარი . ხო ვამბობ ხოლმე, - ეხლაც ვიტყვი:
მკილია. ყველაფერი მკილია. ყოველთვის მეკიდა და
აწიცი დავიკიდებ. მე სხვანაირი ტიპი ვარ. მკილი-
ტიპი. აგერ, აქ მახატხართ შენც და ეს ქვეყანაც.
ჯოჯობხეთში წაიყვანე სტალინი. მე სამოთხეში მივდო-
ვარ.

ნუგზარი ფანჯარასთან მიიბრუნს...

მეფისტოფელი . ვინ მიგიღებს შენ სამოთხეში!

ნუგზარი . აგერ ნახავ. კარგად ბრძანდებოდეთ.
გუგუნი დასასრულს მიუახლოვდა. თქვენი ნუგზარი
გელაშვილი.

...ნუგზარი ფანჯრიდან გადახტება.

მეფისტოფელი . ნუგზარი!

სცენა ბნელდება.

ს უ რ ა თ ი მ ე ც ხ რ ე

სრული წყვილია.

ს უ რ ა თ ი მ ე ა თ ე

ნუგზარის ოთახი. ოღონდ ისეთი, როგორიც სპექტაკლის დასაწყისში - პირველ სურათში იყო: დაბზარული კედლები და სიძველისაგან სრულიად შელახული ავეჯი. ნუგზარი ტახტზეა წამოგორებული და ძინავს.

გელას ხმა . ნუგზარ! ნუგზარ!

კარებზე აბრახუნებს. ნუგზარს გაელვიძება. ძლივს ძლიობით წამოდგება.

ნუგზარი. მოვდივარ... მოვდივარ! /გავა და ოთახში გელასთან ერთად დაბრუნდება/

გელა. ...ჩიგარი ხარ, ნუგირ. ნანასთან გოგოები მოვიდნენ. მერე ჩამოგვიარე. პატარა სუფრა მაქვს. ოფისში სამი ახალთახალი მკვდარი შემოვიდა. მომილოცე! /სკამებს აიღებს/ დილით ამოვიტან... რა გჭირს, შეჩემა, ენა გადაყლაპე?

ნუგზარი . სირული სიზმარი ვნახე.

გელა. სიზმარი ყველა სირულია, ნუგირ.

ნუგზარი . ვითომ ეშმაკს მივყიდე სული...

გელა. ფული გააკეთე, ნუგირ? მაგარი ხარ. ბარემ მამიდაშენის ერთოთახიანიც შეგეტენა!

ნუგზარი . ეგ აღარ გამხსენებია.

გელა. ძალიან დაცხა, ნუგირ, ორპირი გააკეთე. ნანას დაქალები ამ ბოლო დროს მაგრა გასუქდნენ. ჭა-

მით სკდებიან ეს შობელძაღვლები! ჩამოდი, ვილადაგებთ. თბილისი ტრაკული ქალაქია, მაგრამ საყვარელი. /ხელს ჩამოართმევს ნუგზარს/ გელა ტყეშელაშვილი. ძალიან სასიამოვნო იყო თქვენი გაცნობა. გაიცინე მაინც, შეჩემა, შენთვის გწვავლობ.

ნუგზარი. სიცილები ხვალისა, გელა. დღეს ცუდი ვარ.

გელა. გასაგებია. დიალოგი დამთავრებულია. გელოდები. /გადის/

ნუგზარი ჩიბიდან სიგარეტის კოლოფს ამოიღებს, პაპიროსს პირში ჩაიდებს და ასანთს გაჰკრავს. ასანთის ღერი არაბუნებრივად, ჩირალდანვით ააღდება. ნუგზარი ხელს დაიწვავს და სიგარეტის კოლოფს მოისვრის. შესაძლოა, შეიგინოს კიდეც. მერე ტელევიზორს ტახტისკენ მოაბრუნებს და ჩართავს. თვითონ ტახტზე წამოწვება. ეკრანზე მამაკაცის სახე გამოჩნდება, უფრო ზუსტად - მეფისტოფელის.

ნუგზარი . ვა.

მეფისტოფელი. /ტელევიზორიდან/... ცვალებადი მოღრუბლულობა. ზოგან ელჭექი. ხოლო ჩვენთან პლუს... ას ერთი გრადუსი სიცხე.

კეთილი იყოს თქვენი ჩამობრძანება ჯოჯოხეთში!

ფარდა